ს ა ე ქ ს პ ე რ ტ ო დ ა ს კ ვ ნ ა

N 01/18 **14.06.2018წ.**

ქ. თბილისში, დავით აღმაშენებლის ხეივანი N122-ში, მიწის ნაკვეთზე საკადასტრო კოდით N 01.72.14.014.614 არსებული შენობის - ავტოსალონის რეკონსტრუქციის სართულის დაშენებით არქიტექტურული პროექტის „ტექნიკური რეგლამენტის - შენობა-ნაგებობების უსაფრთხოების წესების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის N41 დადგენილების მოთხოვნებთან შესაბამისობის თაობაზე

პროექტის არქიტექტორი: გიორგი დგებუაძე

ექსპერტი: მარია მარსაგიშვილი
ექსპერტი: მაია ჩხაიძე

თბილისი 2018

დამკვეთი: შპს „გლობალ მოტორს ჯორჯია - ჯი ემ ჯი“, დირექტორი გოჩა როსტიაშვილი
საპროექტო ობიექტის მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი N122, მიწის ნაკვეთი საკადასტრო კოდით N 01.72.14.014.614
საპროექტო ობიექტი: ავტოსალონი
მშენებლობის სახეობა: რეკონსტრუქცია

წინამდებარე ექსპერტიზა შესრულებულია შპს „გლობალ მოტორს ჯორჯია - ჯი ემ ჯი“-ს დირექტორ გოჩა როსტიაშვილთან 2018 წლის 13 ივნისს გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე.

„მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის N57 დადგენილების 26-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“, „ბ.გ“ და „გ.დ“ ქვეპუნქტების მიხედვით განსაზღვრული საექსპერტო დასკვნა ადგენს III, IV, V კლასების შენობა-ნაგებობების მშენებლობის განხორციელების დოკუმენტების პროექტების არქიტექტურული ნაწილების შესაბამისობას „ტექნიკური რეგლამენტის – შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის №41 დადგენილებით დამტკიცებულ რეგლამენტთან.

წინამდებარე საექსპერტო დასკვნა ადგენს ქ. თბილისში, დავით აღმაშენებლის ხეივანი N122-ში, მიწის ნაკვეთზე საკადასტრო კოდით N01.72.14.014.614, არსებული შენობის - ავტოსალონის რეკონსტრუქციის სართულის დაშენებით მშენებლობის განხორციელების დოკუმენტების პროექტების „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის N57 დადგენილების მე-10 თავით არქიტექტურული პროექტის შეთანხმების მიზნით მოთხოვნილი არქიტექტურული ნაწილის (შემდგომში - „პროექტი“) შესაბამისობას „ტექნიკური რეგლამენტის – შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის №41 დადგენილებით დამტკიცებულ რეგლამენტთან (შემდგომში - „წესები“).

ექსპერტიზას დაექვემდებარა დამკვეთის მიერ ელექტრონულ ფორმატში წარმოდგენილი არქიტექტურული პროექტი. საექსპერტო დასკვნა მომზადებულია 2 თანაბარ ეგზემპლარად, სკანირებული ელექტრონული ვერსიის სახით pdf ფორმატში, ექსპერტიზის წინაშე წარდგენილი არქიტექტურული პროექტი შენახულია ექსპერტების მიერ, სქემატური ნახაზები თანდართულია დამკვეთისთვის გადაცემული საექსპერტო დასკვნის ელექტრონული ვერსიაზე და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.

წინამდებარე საექსპერტო დასკვნა ვრცელდება მხოლოდ დამკვეთის მიერ ექსპერტიზის წინაშე წარდგენილ არქიტექტურულ პროექტზე. ექსპერტიზას დაქვემდებარებულ არქიტექტურულ პროექტში ნებისმიერი ცვლილების განხორციელების შემთხვევაში საჭიროა შესრულდეს შეცვლილი არქიტექტურული პროექტის ხელახალი საექსპერტო შეფასება. ექსპერტები პასუხს არ აგებენ არქიტექტურულ პროექტში ნებისმიერი ცვლილების, ასევე მშენებლობის პროცესში წინამდებარე ექსპერტიზას დაქვემდებარებული პროექტისგან განსხვავებით სამუშაოების განხორციელების შედეგებზე.

შემადგენლობა:

1. დაკავებულობ(ებ)ისა და დაკავებულობის დატვირთვების შეფასება;
2. კონსტრუქციის ტიპების შეფასება;
3. სიმაღლისა და ფართობის შეფასება;
4. გასასვლელების, გასასვლელთან მისადგომების, გასავლელებისა და შენობიდან გამოსასვლელების შეფასება;
5. გზა-კიბეებისა და სხვა გასასვლელი საშუალებების გამტარუნარიანობების შეფასება;
6. მისაწვდომობის შეფასება;
7. გარე კედლებისადმი მოთხოვნების შეფასება;
8. სახურავის ანაწყობების შეფასება;
9. ცეცხლმედეგობის ხარისხიანი მოთხოვნილი გამმიჯნავების და შემომზღუდავების შეფასება;
10. ხანძრისაგან დაცვის სისტემების შეფასება;
11. წყალსადენი სისტემის ფიქსირებული მოწყობილობების შეფასება;
12. შენობის განიავებისა და განათების შეფასება;
13. კიბეების შეფასება;
14. ლიფტების და გადამზიდი სისტემების შეფასება.

დანართი 1: შპს „გლობალ მოტორს ჯორჯია - ჯი ემ ჯი“-ს დირექტორის გოჩა როსტიაშვილის განმარტებითი წერილი - *1 ფურცელი*

დანართი 2: შპს „ლილეოს“ 22.05.2018წ. შენობის კონსტრუქციული მდგომარეობის დასკვნა და ჩასატარებელი სამუშაოების შესაძლებლობის შეფასება; შენობის ყველა ძირითადი ელემენტის კონსტრუქციული ანალიზი - *7 ფურცელი*

1. დაკავებულობ(ებ)ისა და დაკავებულობის დატვირთვების შეფასება

პროექტით გათვალისწინებულია არსებული შენობის - ავტოსალონის ნაწილზე სართულის დაშენება.

ექსპერტიზის მიზნით შეფასებული იქნა დაკავებულობები სარეკონსტრუქციო ობიექტის არსებულ და საპროექტო ნაწილებში, წარმოდგენილი პროექტის მიხედვით.

სარეკონსტრუქციო შენობის „ა-გ“ ღერძებსა და „1-6“ ღერძებს შორის მონაკვეთში არსებულ ნაწილში, პირველ სართულზე განთავსებულია ავტოსალონის დარბაზი და მომსახურების პუნქტი, +4.20 ნიშნულზე „4-6“ ღერძებში მდებარე დონეზე განთავსებულია ადმინისტრაციული ნაწილი (დირექტორის ოთახი, შეხვედრების ოთახი, საბუღალტრო ოთახი), ხოლო +7.40 ნიშნულზე „1-2“ ღერძებში მონაკვეთში დონეზე - დამატებით საოფისე ფართობი. შენობის არსებულ „გ-ვ“ ღერძებსა და „1-6“ ღერძებს შორის მონაკვეთში მდებარეობს ავტოსარემონტო გარაჟი, რომლის ფართობშიც დამატებით მდებარეობს სერვის მენეჯერის ოთახი, და რომლის პერიმეტრზეც პროექტით გათვალისწინებულია ერთი სართულის დაშენება, სადაც დაგეგმილია საწყობის და საოფისე ფართობების განთავსება.

არსებული ავტოსალონის და მასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული ნაწილის (დირექტორის, ბუღალტერიის, შეხვედრების ოთახები, საოფისე ფართობი) დაკავებულობა კლასიფიცირებულია წესების 304-ე ქვეთავის შესაბამისად როგორც საქმიანი სქ ჯგუფი. არსებული ავტოსარემონტო გარაჟის დაკავებულობა კლასიფიცირებულია 311.2 ქვეთავის შესაბამისად როგორც სასაწყობო სწ-1 ჯგუფი, ამასთან, დამკვეთის მიერ წარმოდგენილია განმარტება (იხ. დანართი 1), რომელიც ადასტურებს, რომ არსებულ „პროფილაქტიკაში“ (ავტომობილების შესაკეთებელ გარაჟში) საფრთხის შემცველი მასალების მაქსიმალური დასაშვები რაოდენობა შეესაბამება 307.1(1) ცხრილში მოცემულ ოდენობებს, რაც წარმოადგენს ავტომობილების შესაკეთებელ გარაჟის სწ-1 ჯგუფად კლასიფიცირების საფუძველს. ავტომობილების შესაკეთებელ გარაჟში მდებარე სერვის მენეჯერის ოთახი კლასიფიცირებულია წესების 304-ე ქვეთავის შესაბამისად როგორც საქმიანი სქ ჯგუფი. საპროექტო დასაშენებელ სართულზე საოფისე ფართობის დაკავებულობა კლასიფიცირებულია 304-ე ქვეთავის შესაბამისად როგორც საქმიანი სქ ჯგუფი, ხოლო საწყობის ფართობის დაკავებულობა კლასიფიცირებულია 311.3 ქვეთავის შესაბამისად როგორც სასაწყობო სწ-2 ჯგუფი, ამასთან დამკვეთის მიერ წარმოდგენილ განმარტებაში (იხ. დანართი 1) მოცემული საპროექტო საწყობის ფართში განსათავსებელი ავტოსათადარიგო ნაწილების ჩამონათვალი შეესაბამება 311.3 ქვეთავით სწ-2 ჯგუფში დაშვებული საქონლის ჩამონათვალს.

508-ე ქვეთავის მოთხოვნების შესაბამისად, შენობა არის შერეული დაკავებულობის. არსებული და საპროექტო დაკავებულობები, გარდა ავტომობილების შესაკეთებელ გარაჟში მდებარე სერვის მენეჯერის ოთახისა, წარმოადგენს გამიჯნულ დაკავებულობებს 508.4 ქვეთავის შესაბამისად. **პროექტის მიხედვით გამიჯნული დაკავებულობი კლასიფიცირებულია ინდივიდუალურად, რაც შესაბამისობაშია გამიჯნული დაკავებულობების 508.4.1 ქვეთავით განსაზღვრულ კლასიფიკაციის მოთხოვნებთან.** ავტომობილების შესაკეთებელ გარაჟში მდებარე სერვის მენეჯერის ოთახი 508.2 ქვეთავის შესაბამისად წარმოადგენს მთავარი სწ-1 დაკავებულობის დამხმარე დაკავებულობას, 508.2.1 ქვეთავის მოთხოვნების შესაბამისად მისი ფართობი (12.5 კვ.მ) არ აღემატება გამიჯნული შენობის (გამიჯნულ შენობასთან დაკავშირებით იხ. საექსპერტო დასკვნის მე-2, მე-3, მე-9 პუნქტები) სართულის ფართობის (595.3 კვ.მ) 10%-ს, ხოლო მისი სიმაღლე და ფართობი არ აღემატება 503-ე ცხრილში განსაზღვრულს, და **აღნიშნული სერვის მენეჯერის ოთახი კლასიფიცირებულია ინდივიდუალურად, რაც შესაბამისობაშია დამხმარე დაკავებულობების 508.2.2 ქვეთავით განსაზღვრულ კლასიფიკაციის მოთხოვნებთან.**

1004.1.2 ქვეთავის შესაბამისად, ფიქსირებული დასაჯდომების არმქონე ფართობების შემთხვევაში, დაკავებულობის დატვირთვა არ უნდა იყოს ნაკლები რაოდენობაზე, რომლის გამოსათვლელად იატაკის ფართობი იყოფა დაკავებულობის დატვირთვის ფაქტორზე, რომელიც სივრცის ფუნქციას 1004.1.2 ცხრილის შესაბამისად ენიჭება. თუ განზრახული ფუნქცია არ შედის 1004.1.2 ცხრილის ჩამონათვალში, მშენებლობის ნებართვის გამცემ/ზედამხედველ ორგანოს შეუძლია, განსაზღვროს ფუნქცია ჩამონათვალში არსებული იმ ფუნქციის საფუძველზე, რომელიც ყველაზე მეტად ჰგავს განზრახულ ფუნქციას.

1004.1.2 ცხრილის შესაბამისად დაკავებულობის დატვირთვის ფაქტორი საოფისე ფართობისთვის (სქ) არის 9.3, ხოლო საწყობის ფართობისთვის (სწ-2) - 46.5. პროექტში დაკავებულობის დატვირთვის ფაქტორის მიხედვით ანგარიშის შედეგად საპროექტო დასაშენებელ სართულზე სქ დაკავებულობის ჯგუფისთვის დაკავებულობის დატვირთვა არის 34.7, ხოლო სწ-2 დაკავებულობის ჯგუფისთვის - 3.1. ექსპერტიზის მიზნებისთვის დაკავებულობის დატვირთვა შეფასებულია მხოლოდ საპროექტო დასაშენებელი სართულის დაკავებულობისთვის, რაც საკმარისია საპროექტო სარეკონსტრუქციო სამუშაოების წესებთან შესაბამისობის შესაფასებლად.

დაკავებულობების ჯგუფების კლასიფიკაცია შეესაბამება წესების მე-3 და მე-5 თავების მოთხოვნებს. დაკავებულობების დატვირთვა განსაზღვრულია მე-10 თავის მოთხოვნათა დაცვით.

2. კონსტრუქციის ტიპების შეფასება

პროექტით გათვალისწინებულია არსებული შენობის რეკონსტრუქცია - შენობის ნაწილზე მეორე სართულის დაშენება. 2016 წლის 28 იანვრის N41-ე დადგენილების მე-2 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, თუ შენობა-ნაგებობები აშენებულია ამ დადგენილების ამოქმედებამდე ამ დადგენილების მოთხოვნების შეუსაბამოდ, მათი რეკონსტრუქციისას დაუშვებელია დადგენილების მოთხოვნათა მიმართ არსებული შეუსაბამობის ხარისხის კიდევ უფრო მეტად გაზრდა.“ წესების 2103.1 ქვეთავის თანახმად, ნებისმიერი შენობის ან ნაგებობის მიშენება-დაშენებები წესების მოთხოვებს უნდა აკმაყოფილებდეს ახალ მშენებლობასთან დაკავშირებით. არსებული შენობა ან ნაგებობა ისე უნდა გადაკეთდეს, რომ მთლიანობაში (მიშენება-დაშენებასთან ერთად) წესებს შეესაბამებოდეს. არსებული შენობა თავის მიშენება-დაშენებებთან ერთად უნდა აკმაყოფილებდეს ფართობთან და სიმაღლესთან დაკავშირებულ მოთხოვნებს, რომლებიც მე-5 თავშია მოცემული.

სარეკონსტრუქციო შენობა აშენებულია 2016 წლის 28 იანვრის N41-ე დადგენილების ამოქმედებამდე, რაც დგინდება საქართველოს საჯარო რეესტრის მონაცემების საფუძველზე. დამკვეთის მიერ წარმოდგენილი იქნა შპს „ლილეოს“ 22.03.2018წ. შენობის კონსტრუქციული მდგომარეობის შესახებ დასკვნა და ჩასატარებელი სამუშაოების შესაძლებლობის დადებითი შეფასება (იხ. დანართი N2).

შენობის კონსტრუქციული ტიპის შეფასება შესრულებულია არსებული და საპროექტო ნაწილების გათვალისწინებით, წესების მე-6 და მე-7 თავების მიხედვით და დამკვეთის მიერ წარმოდგენილი შპს „ლილეოს“ 22.03.2018წ. შენობის ყველა ძირითადი ელემენტის კონსტრუქციული ანალიზის (იხ. დანართი N2) საფუძველზე. კონსტრუქციულ ანალიზში არსებული შენობის ელემენტების ცეცლმედეგობის ხარისხები დადგენილია 703.3 ქვეთავის (ცეცხლმედეგობის განსაზღვრის ალტერნატიული მეთოდები) მე-2 პუნქტის მოთხოვნებთან შესაბამისობაში, კერძოდ, შენობის ელემენტისთვის, კომპონენტის ან ანაწყობისთვის მოთხოვნილი ცეცხლმედეგობა განისაზღვრა 721-ე ქვეთავის მიხედვით.

კონსტრუქციული ანალიზის მიხედვით, შენობის სტრუქტურული ჩარჩოს რკინა-ბეტონის სვეტების (გამაძლიერებელი ფოლადი გაძლიერებული ბეტონის სვეტებში, კოჭებში, მთავარ კოჭებსა და წამწეებში) ბეტონის გარე დამცავი შრე არის 4.5 სმ, რაც 721.1(1) ცხრილის თანახმად უზრუნველყოფს სულ მცირე 3 სთ ცეცხლმედეგობის ხარისხს, „ა-გ“ ღერძებს შორის სვეტების თავზე შემკრავი რკინა-ბეტონის რიგელების (გამაძლიერებელი ფოლადი გაძლიერებული ბეტონის სვეტებში, კოჭებში, მთავარ კოჭებსა და წამწეებში) ბეტონის გარე დამცავი შრე არის 4.5 სმ, რაც 721.1(1) ცხრილის თანახმად უზრუნველყოფს სულ მცირე 3 სთ ცეცხლმედეგობის ხარისხს, ხოლო სტანდარტული ტიპის სამშენებლო მასიური მონოლითური ბეტონის ბლოკის (ბეტონის წყობის ერთეული (ბლოკი) - აფუებული წიდა ან პემზა) კარკასის შემავსებელი კედლების, მათ შორის, „გ-გ“ ღერძზე არსებული კედლის სისქე არის 20 სმ, რაც 721.1(2) ცხრილის თანახმად უზრუნველყოფს სულ მცირე 4 სთ ცეცხლმედეგობის ხარისხს.

706.1 ქვეთავის თანახმად, შენობის თითოეული ნაწილი, რომელიც ამ ქვეთავის დებულებების შესაბამისი ერთი ან მეტი ცეცხლმედეგი კედლითაა გამიჯნული, გამიჯნულ შენობად მიიჩნევა. „გ-გ“ ღერძის გასწვრივ არსებული კედელი შეფასებულია შპს „ლილეოს“ 22.03.2018წ. შენობის ყველა ძირითადი ელემენტის კონსტრუქციული ანალიზის (იხ. დანართი N2) მონაცემების საფუძველზე და აღნიშნულ კედელზე პროექტით გათვალისწინებული სარეკონსტრუქციო სამუშაოების გათვალისწინებით, კედელი მიჩნეულია 706-ე ქვეთავის შესაბამის გამმიჯნავ ცეცხლმედეგ კედლად (გამმიჯნავის - ცეცხლმედეგი კედლის შეფასებისთვის იხ. საექსპერტო დასკვნის მე-9 პუნქტი).

602.1 ქვეთავის თანახმად, აგებული ან ასაგები, გადაკეთებული ან სიმაღლე ან ფართობმომატებული შენობები და ნაგებობები 602.2 – 602.5 ქვეთავებში განსაზღვრული ხუთი კონსტრუქციული ტიპიდან ერთ-ერთს უნდა მიეკუთვნებოდეს. შენობის ნაწილების ცეცხლმედეგობის ხარისხი 601-ე ცხრილში განსაზღვრულზე ნაკლები არ უნდა იყოს, ხოლო გარე კედლების ცეცხლმედეგობის ხარისხი - 602-ე ცხრილში განსაზღვრულზე ნაკლები. სადაც ცეცხლმედეგობა 601-ე ცხრილის მიხედვით უნდა განისაზღვროს, შენობის ელემენტები 703.2 ქვეთავის შესაბამის დებულებებს უნდა შეესაბამებოდეს. შენობის ელემენტების ღიობების, არხებისა და ჰაერცვლის ღიობების დაცვა აუცილებელი არ არის, თუ ამას წესების სხვა დებულებები არ მოითხოვს.

ექსპერტიზის მიზნით შეფასებული იქნა „გ-გ“ და „ვ-ვ“ ღერძებს შორის მდებარე გამიჯნული შენობის კონსტრუქციის ტიპი.

602.5 ქვეთავის თანახმად, V ტიპის კონსტრუქციაში ნაგებობის ელემენტები, გარე კედლები და შიგა კედლები ამ ქვეთავით ნებადართული ნებისმიერი მასალით იგება. 601-ე ცხრილის თანახმად, VB ტიპის კონსტრუქციისთვის შენობის ელემენტებისათვის ცეცხლმედეგობის ხარისხებია: ძირითადი სტრუქტურული ჩარჩო - 0 სთ, მზიდი კედლები (გარე და შიგა) - 0 სთ, არამზიდი კედლები და ტიხრები (შიგა) - 0 სთ, იატაკის კონსტრუქცია და არაძირითადი ნაწილები - 0 სთ, სახურავის კონსტრუქცია და არაძირითადი ნაწილები - 0 სთ. ამასთან, 704.10 ქვეთავის შესაბამისად, გარე კედლების საზღვრებში ან შენობის ან ნაგებობის გარეთ მდებარე სტრუქტურულ მზიდ ნაწილებს უნდა ჰქონდეს ცეცხლმედეგობის ყველაზე მაღალი ხარისხი, შემდეგნაირად განსაზღვრული: 1. როგორც 601-ე ცხრილშია მოთხოვნილი შენობის ელემენტის ტიპისთვის, შენობის კონსტრუქციის ტიპის საფუძველზე; 2. როგორც 601-ე ცხრილშია მოთხოვნილი გარე მზიდი კედლებისათვის კონსტრუქციის ტიპის საფუძველზე; 3. როგორც 602-ე ცხრილშია მოთხოვნილი გარე კედლებისთვის ხანძარსაწინააღმდეგო მანძილის საფუძველზე. არამზიდი კედლებისა და ტიხრებისთვის (გარე) ცეცხლმედეგობის ხარისხის მოთხოვნები განისაზღვრება 602-ე ცხრილის შესაბამისად.

კონსტრუქციული ანალიზის მონაცემების საფუძველზე, „გ-გ“ და „ვ-ვ“ ღერძებს შორის მდებარე გამიჯნული შენობის კონსტრუქციის ელემენტების ცეცხლმედეგობის ხარისხი

შეესაბამება VB ტიპის კონსტრუქციისვის 601-ე ცხრილით განსაზღვრულ შენობის ელემენტების ცეცხლმედეგობის ხარისხებს, ხოლო გარე ბლოკის კედლებისა და გარე კედლების საზღვრებში მოქცეული რკინაბეტონის სტრუქტურული მზიდი ნაწილების ცეცხლმედეგობის ხარისხი (სულ მცირე 3 სთ) აკმაყოფილებს 602-ე ცხრილით ხანძარსაწინააღმდეგო მანძილების საფუძველზე განსაზღვრულ მოთხოვნებს (გარე კედლების და მათში ღიობების ცეცხლმედეგობის ხარისხის შეფასებისთვის იხ. საექსპერტო დასკვნის მე-7 პუნქტი).

„გ-გ“ და „ვ-ვ“ ღერძებს შორის მდებარე გამიჯნული შენობისთვის არჩეული კონსტრუქციის ტიპი VB შესაბამისობაშია საექსპერტო დასკვნის მე-3 პუნქტში შეფასებულ შენობის სიმაღლისა და ფართობის მაჩვენებლებთან, ხოლო შენობის ელემენტები აკმაყოფილებს VB კონსტრუქციის ტიპისთვის მე-6 თავში განსაზღვრულ მოთხოვნებს.

შენიშვნა 1: *სადაც ცეცხლმედეგობა 601-ე ცხრილის მიხედვით უნდა განისაზღვროს, შენობის ელემენტები 703.2 ქვეთავის შესაბამის დებულებებს უნდა შეესაბამებოდეს.*

3. სიმაღლისა და ფართობის შეფასება

503.1 ქვეთავის თანახმად, შენობის სიმაღლე და ფართობი არ უნდა აღემატებოდეს 503-ე ცხრილში 602-ე ქვეთავის საფუძველზე განსაზღვრული კონსტრუქციის ტიპისა და 302-ე ქვეთავის მიხედვით განსაზღვრული დაკავებულობების მიხედვით განსაზღვრულ ზღვრებს, გარდა ქვემოთ მოდიფიცირებული შემთხვევებისა. შენობის თითოეული ნაწილი, გამიჯნული 706-ე ქვეთავის შესაბამისი ერთი ან მეტი ცეცხლმედეგი კედლით, უნდა ჩაითვალოს გამიჯნულ შენობად.

„გ-გ“ ღერძის გასწვრივ არსებული კედელი შეფასებულია შპს „ლილეოს“ 22.03.2018წ. შენობის ყველა ძირითადი ელემენტის კონსტრუქციული ანალიზის (იხ. დანართი N2) მონაცემების საფუძველზე და, პროექტით დაგეგმილი სამუშაოების გათვალისწინებით, კედელი მიჩნეულია გამმიჯნავ 706-ე ქვეთავის შესაბამის ცეცხლმედეგ კედლად (გამმიჯნავის - ცეცხლმედეგი კედლის შეფასებისთვის იხ. საექსპერტო დასკვნის მე-9 პუნქტი). 503.1 ქვეთავის მოთხოვნათა დაცვით, შენობის ნაწილი „გ-გ“ და „ვ-ვ“ ღერძებს შორის ჩაითვალა გამიჯნულ შენობად, რომლის სიმაღლისა და ფართობის შეფასება შესრულებულდა წესების მე-5 თავის მიხედვით.

„გ-გ“ და „ვ-ვ“ ღერძებს შორის მდებარე გამიჯნული შენობა წარმოადგენს შერეული დაკავებულობის შენობას გამიჯნული სწ-1 (არსებული ავტომობილების შესაკეთებელ გარაჟი), სწ-2 (საპროექტო საწყობის ფართობი) და სქ (საპროექტო საოფისე ფართობი) დაკავებულობებით (დაკავებულობების გამმიჯნავების შეფასებისთვის იქ. საექსპერტო დასკვნის მე-9 პუნქტი) და სწ-1 დაკავებულობის (არსებული ავტომობილების შესაკეთებელ გარაჟი) დამხმარე სქ დაკავებულობით (არსებული სერვის მენეჯერის ოთახი). დამხმარე დაკავებულობის შემთხვევაში, 508.2.3 ქვეთავის მიხედვით, შენობის დასაშვები ფართობი და სიმაღლე განისაზღვრება 503.1 ქვეთავში შენობის მთავარი დაკავებულობისთვის ნებადართული ფართობისა და სიმაღლის მიხედვით. არცერთი დამხმარე დაკავებულობის სიმაღლე არ უნდა აღემატებოდეს 503-ე ცხრილში მოცემულ მნიშვნელობებს, ამგვარი დამხმარე დაკავებულობებისთვის 504-ე ქვეთავის შესაბამისად სიმაღლის გაზრდის გარეშე. დამხმარე დაკავებულობების ფართობი უნდა შეესაბამებოდეს 508.2.1 ქვეთავს. გამიჯნული დაკავებულობების შემთხვევაში, 508.4.2 ქვეთავის თანახმად, თითოეულ სართულზე შენობის ფართობი ისეთი უნდა იყოს, რომ თითოეული გამიჯნული დაკავებულობის იატაკის რეალური

ფართობების ჯამი არ აღემატებოდეს ამ დაკავებულობისათვის დასაშვებ ფართობს, ხოლო 508.4.3 ქვეთავის თანახმად, თითოეული დაკავებულობა უნდა შეესაბამებოდეს 503.1 ქვეთავში განსაზღვრული სიმაღლის ზღვრებს, რომლებიც გამომდინარეობს შენობის კონსტრუქციის ტიპიდან.

503-ე ცხრილის შესაბამისად, კონსტრუქციის VB ტიპისთვის, შენობის მაქსიმალური სიმაღლე მიწის დონის ზემოთ არის 12.2 მ, სწ-1 დაკავებულობის მაქსიმალური ფართობი თითოეულ სართულზე არის 840 კვ.მ და სართულების მაქსიმალური რაოდენობა მიწის დონის ზემოთ არის 1, სწ-2 დაკავებულობის მაქსიმალური ფართობი თითოეულ სართულზე არის 1250 კვ.მ და სართულების მაქსიმალური რაოდენობა მიწის დონის ზემოთ არის 2, სქ დაკავებულობის მაქსიმალური ფართობი თითოეულ სართულზე არის 840 კვ.მ და სართულების მაქსიმალური რაოდენობა მიწის დონის ზემოთ - 2.

პროექტის მიხედვით შენობის მაქსიმალური სიმაღლე არის 8.3 მ. პირველ სართულზე მდებარე სწ-1 დაკავებულობის ფართობია 583.0 კვ.მ, რაც არ აღემატება ამ დაკავებულობისათვის 503.1 ქვეთავით დასაშვებ ფართობს, ხოლო სიმაღლე - 4.40 მ (1 სართული) შეესაბამება 503.1 ქვეთავში განსაზღვრული სიმაღლის ზღვრებს სწ-1 დაკავებულობისთვის. სწ-1 ჯგუფის დამხმარე სქ დაკავებულობის სიმაღლე (4.40 მ, 1 სართული) არ აღემატება 503-ე ცხრილში მოცემულ მნიშვნელობას და ფართობი 12.5 არ იკავებს იმ სართულის ფართობის (647 კვ.მ) 10%-ზე მეტს, სადაც მდებარეობს. საპროექტო სქ და სწ-2 დაკავებულობები უნდა განთავსდეს მე-2 სართულზე და მათი მაქსიმალური სიმაღლეა - 8.2 მ, რაც შეესაბამება 503.1 ქვეთავში სქ და სწ-2 ჯგუფებისთვის განსაზღვრულ სიმაღლის ზღვრებს, ხოლო დასაშენებელი სართულის მთლიანი ფართობი (გარე კონტურზე) 647 კვ.მ, რაც არ აღემატება სქ და სწ-2 დაკავებულობებისათვის 503.1 ქვეთავით დასაშვებ ფართობებს.

ყოველივე ზემოაღნიშნულის საფუძველზე, **პროექტით გათვალისწინებული „გ-გ“ და „ვ-ვ“ ღერძებს შორის გამიჯნული შენობის სიმაღლე, სართულების ფართობი და სართულების რაოდენობა შეესაბამება მე-5 თავში მოცემულ ფართობთან და სიმაღლესთან დაკავშირებულ მოთხოვნებს ახალი მშენებლობისთვის, რითაც დაკმაყოფილებულია წესების 2103.1 ქვეთავით განსაზღვრული პირობები არსებულ შენობაზე მიშენება-დაშენებასთან დაკავშირებით.**

4. გასასვლელების, გასასვლელთან მისადგომების, გასავლელებისა და შენობიდან გამოსასვლელების შეფასება

წესების 2103.1 ქვეთავის მოთხოვნათა დაცვით, საექსპერტო დასკვნის მე-3 პუნქტში დადგენილია, რომ გამიჯნული შენობა „გ-გ“ და „ვ-ვ“ ღერძებს შორის საპროექტო დაშენებასთან ერთად აკმაყოფილებს ფართობთან და სიმაღლესთან დაკავშირებულ მოთხოვნებს, ამასთან, 2016 წლის 28 იანვრის N41-ე დადგენილების მე-2 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, თუ შენობა-ნაგებობები აშენებულია ამ დადგენილების ამოქმედებამდე, რაც დგინდება საქართველოს საჯარო რეესტრის მონაცემების საფუძველზე, ამ დადგენილების მოთხოვნების შეუსაბამოდ, მათი რეკონსტრუქციისას დაუშვებელია დადგენილების მოთხოვნათა მიმართ არსებული შეუსაბამობის ხარისხის კიდევ უფრო მეტად გაზრდა. 2104.1 ქვეთავის თანახმად, 2101.4 ქვეთავში ან ამ ქვეთავში განსაზღვრული შემთხვევების გარდა ნებისმიერი შენობის ან ნაგებობის გადაკეთებისას ამ წესების მოთხოვნები უნდა შესრულდეს, რომლებიც ახალი მშენებლობისთვისაა განსაზღვრული. არსებული შენობის ან ნაგებობის გადაკეთების შემდეგ ამ წესების მოთხოვნებთან მისი შესაბამისობის ხარისხი არ უნდა შემცირდეს შენობის ან ნაგებობის გადაკეთებამდე არსებულ ხარისხთან შედარებით.

პროექტის მიხედვით გათვალისწინებულია შენობის ერთ სართულიან ნაწილზე მეორე სართულის დაშენება. 1021.2 ქვეთავის თანახმად, ნებისმიერ სართულს ან დაკავებულ სახურავს უნდა ემსახურებოდეს ორი გასასვლელი ან გასასვლელთან მისადგომის გზა-კიბე ან პანდუსი, თუ არსებობს ქვემოთ მოცემული პირობებიდან ერთ-ერთი: 1. დაკავებულობის დატვირთვა ან საცხოვრებელი ერთეულების რაოდენობა აღემატება 1021.2(1) ან 1021.2(2) ცხრილში განსაზღვრულ რაოდენობებს; 2. გასასვლელთან მისადგომი სავალი მანძილი აღემატება 1021.2(1) ან 1021.2(2) ცხრილში განსაზღვრულს, როგორც დადგენილია 1016.1 ქვეთავის დებულებების შესაბამისად; 3. შენობებზე ან ნაგებობებზე შვეულმფრენის დასაჯდომად მოწყობილ ფართობებს უნდა ემსახურებოდეს ორი გასასვლელის ან გასასვლელთან მისადგომის გზა-კიბე ან გასასვლელთან მისადგომის პანდუსი. 1021.2(2) ცხრილის თანახმად, სქ და სწ-2 დაკავებულობებისთვის, სართულზე 29 მაქსიმალური დაკავებულობის დატვირთვისთვის, მეორე სართულზე გასასვლელთან მისადგომი მაქსიმალური სავალი მანძილი არის 23 მ. პროექტის მიხედვით, მეორე სართულს გააჩნია ორი გასასვლელი - გასასვლელთან მისადგომის გზა-კიბეები, რომლებიც მთავრდება პირველ სართულზე შენობიდან ორ გამოსასვლელთან, რის გათვალისწინებითაც საპროექტო მეორე სართულზე გასასვლელთან მისადგომი მაქსიმალური სავალი მანძილი არის 50.3 მ - ერთი გასასვლელის შემთხვევაში მაქსიმალური სავალი მანძილი იქნებოდა 23 მ-ზე მეტი, ასევე სართულის დაკავებულობის დატვირთვა აღემატება 29-ს, რითაც განპირობებულია ორი გასასვლელის აუცილებლობა. 1009.3 ქვეთავის თანახმად, სართულებს შორის მდებარე იატაკის ღიობები, რომელთაც ქმნის გასასვლელთან მისადგომის გზა-კიბეები, უნდა იყოს შემოზღუდული, ხოლო ამავე ქვეთავის გამონაკლისის 1-ელი პუნქტის თანახმად, დწ-2 და დწ-3 ჯგუფებისგან განსხვავებულ დაკავებულობებში, გასასვლელთან მისადგომი გზა-კიბეები, რომლებიც ემსახურება ან აკავშირებს მხოლოდ ორ სართულს, არ საჭიროებს შემოზღუდვას. შესაბამისად, პროექტით გათვალისწინებული პირველი და მეორე სართულის დამაკავშირებელი კიბეები არ საჭიროებს შემოზღუდვას. ამასთან, 508.4 ცხრილის საფუძველზე მეორე სართულზე გათვალისწინებული საპროექტო სწ-2 დაკავებულობა გამიჯნული უნდა იყოს პირველ სართულზე არსებული სწ-1 დაკავებულობისგან. პროექტით გათვალისწინებულია პირველ სართულზე გამმიჯნავი კედლების მოწყობა მეორე სართულის გასასვლელ საშუალებებს - კიბეებს (პირველ სართულზე გამოსასვლელებიანად) და პირველ სართულზე არსებულ ავტო შესაკეთებელ გარაჟს (სწ-1) შორის, უშუალოდ კიბეების მარშების ქვეშ ასევე გათვალისწინებულია შესაბამისი ცეცხლმედეგობის მქონე ანაწყობი.

1015.1 ქვეთავის თანახმად, ნებისმიერი სივრციდან გამომავალი ორი გასასვლელის გზა-კარი ან გასასვლელთან მისადგომის გზა-კარი საჭიროა, თუ არსებობს ქვემოთ ჩამოთვლილ პირობათაგან ერთ-ერთი: 1. სივრცის დაკავებულობის დატვირთვა აღემატება 1015.1 ცხრილში განსაზღვრულ მნიშვნელობებს. 2. მოვლა-მზრუნველობის ოთახების ბლოკში 407.4.3 ქვეთავის შესაბამის დწ-2 ჯგუფის დაკავებულობებში. 2. გასასვლელისკენ სავალი საერთო ბილიკი არ აკმაყოფილებს 1014.3 ქვეთავში განსაზღვრულ შეზღუდვებს. 3. თუ საჭიროა 1015.3, 1015.4, 1015.5 ან 1015.6 ქვეთავების მიხედვით. 1015.1 ცხრილის თანახმად. სქ ჯგუფის დაკავებულობის სივრცე შესაძლებელია მოეწყოს 1 გასასვლელით, თუ მისი დაკავებულობის დატვირთვა არ აღემატება 49-ს, სწ ჯგუფის დაკავებულობის სივრცე შესაძლებელია მოეწყოს 1 გასასვლელით, თუ მისი დაკავებულობის დატვირთვა არ აღემატება 29-ს. ამასთან, 1014.3 ცხრილის შესაბამისად, სქ და სწ დაკავებულობებში გასასვლელისკენ სავალი საერთო ბილიკის სიგრძე არ უნდა აღემატებოდეს 23 მ-ს 30-ზე ნაკლები დაკავებულობის დატვირთვისთვის (საშხეფი სისტემის გარეშე).

პროექტის მიხედვით, გასასვლელისკენ სავალი საერთო ბილიკის სიგრძე სქ და სც დაკავებულობების ფართობებში არ აღემატება 23 მ-ს, 1015.3, 1015.4, 1015.5 ან 1015.6 ქვეთავები არ ითვალისწინებს ორი გზა-კარის მოწყობას საპროექტო ფართობებში, სწ-2 ჯგუფის საწყობის ფართობში დაკავებულობის დატვირთვა არის 3.1, შესაბამისად მასში აუცილებელია მოეწყოს

ერთი გასასვლელის გზა-კარი, ხოლო პროექტით გათვალისწინებულია ორი გასასვლელის გზა-კარი, სქ ჯგუფის ფართობში დაკავებულობის დატვირთვაა 34.7, შესაბამისად მასში აუცილებელია მოეწყოს 1 გასასვლელის გზა-კარი, ხოლო პროექტით გათვალისწინებულია ორი გასასვლელის გზა-კარი. **პროექტში დაკმაყოფილებულია გასასვლელის გზა-კარების რაოდენობასთან დაკაშირებული მოთხოვნები.**

1016.2 ქვეთავის თანახმად, გასასვლელთან მისადგომში სავალი მანძილი არ უნდა აღემატებოდეს 1016.2 ცხრილში მოცემულ სიდიდეებს. 1016.2 ცხრილის შესაბამისად, საშხეფი სისტემის გარეშე, სქ დაკავებულობისთვის გასასვლელთან მისადგომი მაქსმალური სავალი მანძილი არ უნდა აღემატებოდეს 60 მ-ს, ხოლო სწ-2 დაკავებულობისთვის - 90 მ-ს. პროექტის მიხედვით საპროექტო მეორე სართულზე გასასვლელთან მისადგომი მაქსიმალური სავალი მანძილი არის 50.3 მ (მაქსიმალური სავალი მანძილი გაანგარიშებულია 1016.3 ქვეთავის მიხედვით, 1016.3.1 ქვეთავის შესაბამისად გასასვლელთან მისადგომ გზა-კიბეზე სავალი მანძილის ჩათვლით). **პროექტში დაკმაყოფილებულია გასასვლელთან მისადგომ მაქსიმალურ სავალ მანძილლთან დაკაშირებული მოთხოვნები.**

მეორე სართულის გასასვლელი საშუალებები შესაბამისობაშია ახალი მშენებლობისთვის განსაზღვრულ მოთხოვნებთან. ამასთან, პირველ სართულზე არსებული გასასვლელი საშუალებები არ განიცხდის ცვლილებას და მათი შეუსაბამობის ხარისხი არ იზრდება, ხოლო კიბეების მოწყობასთან დაკავშირებული პირველ სართულზე გათვალისწინებული სამუშაოები ასევე არ იწვევს არსებული შეუსაბამობის ხარისხის გაზრდას.

5. გზა-კიბეებისა და სხვა გასასვლელი საშუალებების გამტარუნარიანობების შეფასება

საპროექტო გზა-კიბეებისა და პირველ სართულზე საპროექტო გამოსასვლელების (გზა-კარების) გამტარუნარიანობის შეფასება შესრულებულია წესების მე-10 თავის მიხედვით.

1005.3.1 ქვეთავის შესაბამისად, გასასვლელი საშუალებების გზა-კიბეების გამტარუნარიანობის (სმ-ში) გამოსათვლელად დაკავებულობის დატვირთვა უნდა გამრავლდეს გასასვლელი საშუალებების გამტარუნარიანობის ფაქტორზე, რომელიც 7,6 მმ-ია თითო დამკავებელზე. სადაც გზა-კიბეები ემსახურება ერთზე მეტ სართულს, ამ სართულის მომსახურე გზა-კიბეების აუცილებელი გამტარუნარიანობის გამოთვლისას მხოლოდ თითოეული სართულის ინდივიდუალური დაკავებულობის დატვირთვა გამოიყენება. პროექტის შესაბამისად დაშენებით გათვალისწინებული სართულის დაკავებულობის დატვირთვა არის 37.8, შესაბამისად 37.8x7.6=287.28 მმ-ს. ამასთან, 1009.4 ქვეთავის თანახმად, გზა-კიბეების სიგანე უნდა განისაზღვროს 1005.1 ქვეთავის მიხედვით, მაგრამ ასე განსაზღვრული სიგანე არ უნდა იყოს 1.1 მ-ზე ნაკლები. 1007.3 ქვეთავის თანახმად, იმისათვის, რომ გზა-კიბეები მისაწვდომი გასასვლელი საშუალების ნაწილად ჩაითვალოს, სართულებს შორის მდებარე გზა-კიბის თავისუფალი სიგანე მოაჯირებს შორის, სულ მცირე, 1,2 მ უნდა იყოს და უნდა მოიცავდეს ან იატაკის დონეზე გადიდებული ბაქნის საზღვრებში მდებარე თავშესაფრის ფართობს, ან უნდა ჰქონდეს მისადგომი 1007.6 ქვეთავის შესაბამისი თავშესაფრის ფართობიდან, ან ჰორიზონტალური გასასვლელიდან. პროექტის მიხედვით ორივე კიბის მარშის მინიმალური სიგანე კედლებს შორის არის 120 სმ. **პროექტით გათვალისწინებული გზა-კიბეების სიგანე უზრუნველყოფს წესებით მოთხოვნილ გამტარუნარიანობას.**

საპროექტო გზა-კიბის კარების და შენობიდან გამოსასვლელის კარების გამტარუნარიანობა შეფასებული იქნა 1005.3.2 ქვეთავის მიხედვით, რომლის თანახმადაც

გასასვლელი საშუალებების კომპონენტების, გზა-კიბეების გარდა, გამტარუნარიანობის (სმ-ში) გამოსათვლელად დაკავებულობის დატვირთვა უნდა გამრავლდეს გასასვლელი საშუალებების გამტარუნარიანობის ფაქტორზე, რომელიც თითო დამკავებელზე 5,1 მმ-ია. მეორე სართულის დაკავებულობის დატვირთვისთვის (37.8), 37.8x5.1=192.78 მმ-ს, რაც ნაკლებია წესებით დადგენილ მინიმალურ მოთხოვნებზე. შესაბამისად, გასასვლელი საშუალებების კომპონენტების მინიმალური სიგანე განისაზღვრა შემდეგნაირად: 1008.1.1 ქვეთავის მიხედვით, გასასვლელი საშუალებების თითოეული კარის ღიობის მინიმალური სიგანე უნდა შეესაბამებოდეს დაკავებულობის დატვირთვას და უნდა უზრუნველყოფდეს, არანაკლებ, 82 სმ თავისუფალ სიგანეს. ფრთიანკარიანი გზა-კარების თავისუფალი ღიობი უნდა გაიზომოს კარის წინა მხარესა და შემჩერებელს შორის, როცა კარი ღიაა 90 გრადუსით. თუ ეს ქვეთავი მოითხოვს, სულ მცირე, 82 სმ თავისუფალ სიგანეს და კარის ღიობში ჩასმულია ორფრთიანი კარი შუალის/გამყოფის გარეშე, ერთი ფრთა ღიობის 82 სმ თავისუფალ სიგანეს უნდა უზრუნველყოფდეს. ორმხრივმოძრავი კარის ფრთის მაქსიმალური სიგანე უნდა იყოს 1,2 მ. გასასვლელი საშუალებების კარები დწ-2 ჯგუფის დაკავებულობაში, რომლებიც გამოიყენება საწოლების გასატან-გამოსატანად, უნდა უზრუნველყოფდეს 1,1 მ თავისუფალ სიგანეს. კარების სიმაღლე, არანაკლებ, 2,05 მ უნდა იყოს. პროექტის მიხედვით, გასასვლელი საშუალებების საპროექტო კარების მინიმალური თავისუფალი სიგანე შეადგენს 82 სმ-ს, ხოლო მინიმალური თავისუფალი სიმაღლე - 2.08 სმ-ს. **გასასვლელი საშუალებების საპროექტო გზა-კარები უზრუნველყოფს ახალი მშენებლობისთვის წესებით მოთხოვნილ გამტარუნარიანობას.**

1018.2 ქვეთავის თანახმად, დერეფნებისთვის 1018.2 ცხრილში მოცემული მინიმალური სიგანე უნდა განისაზღვროს 1005.1 ქვეთავის შესაბამისად. პროექტის მიხედვით, 1005.1 ქვეთავის მიხედვით დასაშენებელი სართულის დაკავებულობის დატვირთვის საფუძველზე ანგარიშის შედეგად დერეფნის სიგანე (19.3 სმ) გამოდის აუცილებელზე ნაკლები, ხოლო 1018.2 ცხრილის მიხედვით, დერეფნის სიგანე უნდა იყოს 90 სმ 50-ზე ნაკლები დაკავებულობის დატვირთვისთვის, გარდა სც-2 ჯგუფის მრავალბინიანი შენობების საერთო დერეფნებისა. **პროექტის მიხედვით საპროექტო დერეფნის მინიმალური სიგანეა 1.5 მ, რაც აკმაყოფილებს გამტარუნარიანობის მოთხოვნებს გასასვლელი საშუალებების - დერეფნებისთვის.**

პროექტით არ არის გათვალისწინებული არსებული გასასვლელი საშუალებების არსებული შეუსაბამობის ხარისხის კიდევ უფრო მეტად გაზრდა.

6. მისაწვდომობის შეფასება

2111.5 ქვეთავის თანახმად, მიშენება-დაშენებები ახალი მშენებლობისთვის განსაზღვრულ დებულებებს უნდა აკმაყოფილებდეს. მიშენება-დაშენება, რომელიც მთავარი ფუნქციით გამოყენებული ფართობის მისაწვდომობას ზღუდავს ან მთავარი ფუნქციით გამოყენებულ ფართობს მოიცავს, 2111.7 ქვეთავს უნდა შეესაბამებოდეს. პროექტის მიხედვით არ არის გათვალისწინებული ისეთი მიშენება-დაშენების სამუშაოები, რომლებიც მთავარი ფუნქციით გამოყენებული ფართობის მისაწვდომობას ზღუდავს ან მთავარი ფუნქციით გამოყენებულ ფართობს მოიცავს.

1109.7 ქვეთავის თანახმად, მისაწვდომ სვლაგეზზე მდებარე სამგზავრო ლიფტები მისაწვდომი უნდა იყოს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისთვის და უნდა აკმაყოფილებდეს მე-17 თავის მოთხოვნებს. პროექტით გათვალისწინებულია მისაწვდომობის უზრუნველყოფა საპროექტო მეორე სართულზე ლიფტის საშუალებით. პირველ სართულზე ლიფტი ჩერდება მიწის დონეზე, ლიფტის კაბინის შიდა გაბარიტები 1.7მ x 1.7მ აკმაყოფილებს ICC A117.1 სტანდარტის მოთხოვნებს.

მისაწვდომი გასასვლელი საშუალებები შეფასებულია 1007-ე ქვეთავის მიხედვით.

1007.3 ქვეთავის თანახმად, იმისათვის, რომ გზა-კიბეები მისაწვდომი გასასვლელი საშუალების ნაწილად ჩაითვალოს, სართულებს შორის მდებარე გზა-კიბის თავისუფალი სიგანე მოაჯირებს შორის, სულ მცირე, 1,2 მ უნდა იყოს და უნდა მოიცავდეს ან იატაკის დონეზე გადიდებული ბაქნის საზღვრებში მდებარე თავშესაფრის ფართობს, ან უნდა ჰქონდეს მისადგომი 1007.6 ქვეთავის შესაბამისი თავშესაფრის ფართობიდან, ან ჰორიზონტალური გასასვლელიდან. გასასვლელთან მისადგომის გზა-კიბეები, რომლებიც აკავშირებს ერთი სართულის დონეებს, მისაწვდომი გასასვლელი საშუალებების ნაწილი არ უნდა იყოს.

1007.6 ქვეთავის (თავშესაფრის ფართობები) თანახმად, ყველა აუცილებელ თავშესაფრის ფართობს უნდა ჰქონდეს მისაწვდომი გასასვლელი საშუალებები იმ სივრციდან, რომელსაც ის ემსახურება. მაქსიმალური სავალი მანძილი ნებისმიერი მისადგომი სივრციდან თავშესაფრის ფართობამდე არ უნდა აღემატებოდეს 1016.1 ქვეთავში დაკავებულობისთვის განსაზღვრულ სავალ მანძილს. ყველა აუცილებელი თავშესაფრის ფართობი უშუალოდ უნდა უკავშირდებოდეს 1007.3 ქვეთავის შესაბამისად მოწყობილ გზა-კიბეს ან 1007.4 ქვეთავის შესაბამისად დაყენებულ ლიფტს. თუ თავშესაფრის ფართობად გამოყენებულია ლიფტის ფოიე, შახტი და ფოიე უნდა აკმაყოფილებდეს 1022.10 ქვეთავში კვამლგაუმტარი შემომზღუდავებისთვის განსაზღვრულ მოთხოვნებს, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ლიფტები მდებარეობს თარაზული გასასვლელით ან კვამლგაუმტარი ბარიერით შექმნილ თავშესაფრის ფართობზე. 1007.6.1 ქვეთავის თანახმად, თითოეული თავშესაფრის ფართობი უნდა მოიცავდეს ერთი ეტლისათვის საჭირო სივრცეს, რომლის ზომებია 76 სმ × 1.2 მ, ყოველი 200 დამკავებლისათვის ან მათი ნაწილისათვის, თავშესაფრის ფართობისა და იმ ფართობების დაკავებულობის დატვირთვის გათვალისწინებით, რომელთაც ემსახურება თავშესაფრის ფართობი. ეტლისათვის საჭირო ასეთი სივრცეები არ უნდა ამცირებდეს გასასვლელის აუცილებელ სიგანეს. თავშესაფრის ფართობზე ეტლისთვის საჭირო ნებისმიერ სივრცესთან მისაწვდომი არ უნდა ჩაიხერგოს ერთზე მეტი მომიჯნავე ეტლისთვის საჭირო სივრცით. 1007.6.2 ქვეთავის თანახმად, თითოეული თავშესაფრის ფართობი სართულის დანარჩენი ნაწილებისგან უნდა გაიმიჯნოს 709-ე ქვეთავის შესაბამისად აგებული კვამლგაუმტარი ზღუდით ან 1025-ე ქვეთავის შესაბამისად აგებული თარაზული გასასვლელით. ყველა თავშესაფრის ფართობის დაგეგმარება მინიმალურ კვამლშეღწევადობას უნდა უზრუნველყოფდეს. გამონაკლისი: გასასვლელთან მისადგომის გზა-კიბეების ან შიგა გასასვლელის გზა-კიბეების შემომზღუდავებში მდებარე თავშესაფრის ფართობები. 1007.6.3 ქვეთავის მიხედვით, თავშესაფრის ფართობებზე 1007.8.1 და 1007.8.2 ქვეთავების შესაბამისი ორმხრივი კავშირის სისტემა უნდა დააყენონ.

პროექტის მიხედვით, ორივე გზა-კიბის სიგანე არის 1.2 მ, ორივე კიბის შემომზღუდავში არის თავშესაფრის ფართობი, თითოეული თავშესაფრის ფართობის ზომებია 76 სმ × 1.2 მ და მათი მდებარეობა არ ამცირებს გასასვლელის აუცილებელ სიგანეს, ამასთან თავშესაფრებამდე მაქსიმალური სავალი მანძილია 23.81 მ, რაც ნაკლებია 1016.2 ცხრილით სქ დაკავებულობისთვის (საშხეფის გარეშე) მოთხოვნილზე (60 მ) და სწ-2 დაკავებულობისთვის (საშხეფის სისტემის გარეშე) მოთხოვნილზე (90 მ), ასევე თავშესაფრის ფართობებზე გათვალისწინებულია ორმხრივი კავშირის სისტემა. შესაბამისად, პროექტის მიხედვით ორივე კიბე (თავშესაფრებით) აკმაყოფილებს მისაწვდომი გასასვლელი საშუალებისადმი მოთხოვნებს.

მისაწვდომი ტუალეტების შეფასებისთვის იხ. საექსპერტო დასკვნის მე-11 პუნქტი.

საპროექტო დასაშენებელ სართულზე პროექტით გათვალისწინებული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მისაწვდომობა შესაბამისობაშია წესების მოთხოვნებთან ახალი მშენებლობისთვის, ამასთან, პროექტით არ არის გათვალისწინებული შენობის არსებულ ნაწილში მისაწვდომობის არსებული შეუსაბამობის ხარისხის კიდევ უფრო მეტად გაზრდა.

შენიშვნა 2: *თავშესაფრის ფართობებზე მოეწყოს 1007.8.1 და 1007.8.2 ქვეთავების შესაბამისი ორმხრივი კავშირის სისტემა.*

7. გარე კედლებისადმი მოთხოვნების შეფასება

გარე კედლებისადმი მოთხოვნების შეფასება შესრულებულია წესების მე-6 და მე-7 თავების მიხედვით.

გარე კედლებისათვის ცეცხლმედეგობის ხარისხის მოთხოვნები განსაზღვრულია ხანძარსაწინააღმდეგო მანძილის საფუძველზე 602-ე ცხრილის მიხედვით, ხოლო გარე კედლების ღიობების მაქსიმალური ფართობი განსაზღვრულია ხანძარსაწინააღმდეგო მანძილისა და ღიობის დაცვის ხარისხის საფუძველზე 705.8 ცხრილის მიხედვით:

<u>ფასადი „ა-ვ“ ღერძებში</u>:

სართული +0.00 ნიშნულზე, კედელი „გ-ვ“ მონაკვეთში:

ხანძარსაწინააღმდეგო მანძილი - 6.13 მ, გარე კედლის ცეცხლმედეგობის აუცილებელი ხარისხი - 0 სთ, არსებული კედლის ცეცხლმედეგობის ხარისხი - 3 სთ, ფასადზე დასაშვები დაუცველი ღიობების მაქსიმალური ფართობი - 45%, პროექტის მიხედვით დაუცველი ღიობების ფართობი - 34%;

სართული +4.20 ნიშნულზე, კედელი „გ-ვ“ მონაკვეთში:

ხანძარსაწინააღმდეგო მანძილი - 6.13 მ, გარე კედლის ცეცხლმედეგობის აუცილებელი ხარისხი - 0 სთ, პროექტით გათვალისწინებული ცეცხლმედეგობის ხარისხი (ღიობების შვეული გამიჯვნიდან გამომდინარე) - 1 სთ, ფასადზე დასაშვები დაუცველი ღიობების მაქსიმალური ფართობი - 45%, პროექტის მიხედვით დაუცველი ღიობების ფართობი - 11%;

<u>ფასადი „ვ-ა“ ღერძებში</u>:

სართული +0.00 ნიშნულზე, კედელი „ვ-გ“ მონაკვეთში:

ხანძარსაწინააღმდეგო მანძილი - 5.43 მ, გარე კედლის ცეცხლმედეგობის აუცილებელი ხარისხი - 0 სთ, არსებული კედლის ცეცხლმედეგობის ხარისხი - 3 სთ, ფასადზე დასაშვები დაუცველი ღიობების მაქსიმალური ფართობი - 25%, არსებული დაუცველი ღიობების ფართობი - 15%;

სართული +4.20 ნიშნულზე, კედელი „ვ-გ“ მონაკვეთში:

ხანძარსაწინააღმდეგო მანძილი - 5.43 მ, გარე კედლის ცეცხლმედეგობის აუცილებელი ხარისხი - 0 სთ, პროექტით გათვალისწინებული ცეცხლმედეგობის ხარისხი (ღიობების შვეული გამიჯვნიდან გამომდინარე) - 1 სთ, ფასადზე დასაშვები დაუცველი ღიობების მაქსიმალური ფართობი - 25%, პროექტის მიხედვით დაუცველი ღიობების ფართობი - 15%;

ფასადი „10-1“ ღერძებში:

სართული +0.00 ნიშნულზე:

ხანძარსაწინააღმდეგო მანძილი - 7.41 მ, გარე კედლის ცეცხლმედეგობის აუცილებელი ხარისხი - 0 სთ, არსებული კედლის ცეცხლმედეგობის ხარისხი - 3 სთ, ფასადზე დასაშვები დაუცველი ღიობების მაქსიმალური ფართობი - 45%, პროექტის მიხედვით დაუცველი ღიობების ფართობი - 18%;

სართული +4.20 ნიშნულზე:

ხანძარსაწინააღმდეგო მანძილი - 7.41 მ, გარე კედლის ცეცხლმედეგობის აუცილებელი ხარისხი - 0 სთ, პროექტით გათვალისწინებული ცეცხლმედეგობის ხარისხი (ღიობების შვეული გამიჯვნიდან გამომდინარე) - 1 სთ, ფასადზე დასაშვები დაუცველი ღიობების მაქსიმალური ფართობი - 45%, პროექტის მიხედვით დაუცველი ღიობების ფართობი - 13%;

ამასთან, 705.8.5 ქვეთავის თანახმად, თუ ღიობები ერთმანეთისგან დაშორებულია 1,5 მ-ის საზღვრებში თარაზულად და ქვედა სართულის ღიობი არ არის ¾ სთ-იანი (45 წთ) ცეცხლისაგან დაცვის ხარისხის მქონე დაცული ღიობი, მომიჯნავე სართულებზე გარე კედლების ღიობები უნდა გაიმიჯნოს შვეულად, რომ შენობების გარე კედლებზე ცეცხლი არ გავრცელდეს. ასეთი ღიობები შვეულად უნდა გაიმიჯნოს, სულ მცირე, 90 სმ-ით, სპანდრელით (შეკიდული კედლის ნაწილი), გარე კედლებით ან სხვა მსგავსი ანაწყობებით, რომელთა ცეცხლმედეგობის ხარისხი სულ მცირე, 1 საათია, ან ალის ზღუდარებით, რომლებიც ვრცელდება თარაზულად გარე კედლიდან სულ მცირე, 76 სმ-ზე. ალის ზღუდარების ცეცხლმედეგობის ხარისხი, სულ მცირე, 1 საათი უნდა იყოს. შეზღუდვები ზედაპირებისთვის, რომლებზეც არ ზემოქმედებს ASTM E 119-ში ან UL 263-ში მითითებული ტემპერატურები, არ ეხება ალგაუმტარ ზღუდარებს ან შვეულ გამმიჯნავს, თუ წესების დებულებები სხვაგვარად არ მოითხოვს. პროექტის მიხედვით, „10-1“, „ვ-გ“ და „გ-ვ“ ღერძებში ფასადების საპროექტო გარე კედლები 1 სთ ცეცხლმედეგობის ხარისხისაა და უზრუნველყოფს ყველა ღიობის ერთმანეთისგან შვეულად გამიჯვნას 90 სმ-ზე მეტი მანძილით.

გარე კედლების ცეცხლმედეგობის ხარისხი აკმაყოფილებს 602-ე ცხრილისა და 705.8.5 ქვეთავის მოთხოვნებს, მათში ღიობების მაქსიმალური ფართობი შეესაბამება 705.8 ცხრილების მოთხოვნებს.

შენიშვნა 3: *ცეცხლმედეგი კედლები მოეწყოს წესების 706 ქვეთავის მიხედვით.*

705.11 ქვეთავის თანახმად, შენობის გარე კედლებს პარაპეტები უნდა ჰქონდეს, ხოლო ამავე ქვეთავის გამონაკლისის 1-ელი პუნქტის მიხედვით, გარე კედელს პარაპეტი არ სჭირდება, თუ კედელს შეიძლება არ ჰქონდეს 602-ე ცხრილში განსაზღვრული ცეცხლმედეგობის ხარისხი, ხანძარსაწინააღმდეგო მანძილის გამო. 705.11.1 ქვეთავის თანახმად, პარაპეტებს ცეცხლმედეგობის ისეთივე ხარისხი უნდა ჰქონდეს, როგორიც აუცილებელია საყრდენი კედლისათვის. სახურავის ზედაპირის მოსაზღვრე ნებისმიერ მხარეს, მაქსიმუმ, 46 სმ სიმაღლეზე, პარაპეტის ზედაპირი უნდა იყოს არაწვადი მასალის, არაწვადი უნდა იყოს ასევე გადამფარავი ჰიდროიზოლაცია და ლავგარდანის (კარნიზის) მასალები. პარაპეტის სიმაღლე არ უნდა იყოს 76 სმ-ზე ნაკლები იმ წერტილიდან, სადაც სახურავის ზედაპირი და კედელი

ერთმანეთს კვეთს. თუ პარაპეტისკენ დახრილი სახურავის ქანობები აღემატება ორ შვეულ ერთეულს თორმეტ თარაზულ ერთეულზე (2 : 12) (16,7% ქანობი), პარაპეტი ისეთივე სიმაღლეზე უნდა გაგრძელდეს, როგორზეც ხანძარსაწინააღმდეგო მანძილის საზღვრებში მოქცეული სახურავის ნებისმიერი ნაწილი, სადაც აუცილებელია კედლის ღიობების დაცვა, მაგრამ მისი სიმაღლე არავითარ შემთხვევაში არ უნდა იყოს 76 სმ-ზე ნაკლები. პროექტით გათვალისწინებულია 76 სმ სიმაღლის პარაპეტის მოწყობა საპროექტო დასაშენებელი სართულის მთელ გარე პერიმეტრზე, ამასთან, პარაპეტს არ გააჩნია ცეცხლმედეგობის ხარისხი, ვინაიდან შესაბამის კედლებს არ მოეთხოვება 602-ე ცხრილში განსაზღვრული ცეცხლმედეგობის ხარისხი და, შესაბამისად, წესების მიხედვით პარაპეტი არ არის აუცილებელი.

პროექტში დაკმაყოფილებულია საპროექტო გარე კედლებისათვის ცეცხლმედეგობის ხარისხის, გარე კედლების ღიობების მაქსიმალური ფართობისა და პარაპეტის ცეცხლმედეგობასთან და სიმაღლესთან დაკავშირებული მოთხოვნები ახალი მშენებლობისათვის. ამასთან, პროექტით არ არის გათვალისწინებული სარეკონსტრუქციო შენობის არსებული შეუსაბამობის ხარისხის კიდევ უფრო მეტად გაზრდა.

შენიშვნა 4: *გარე კედლების მოპირკეთება განხორციელდეს წესების მე-14 თავის მოთხოვნების მიხედვით.*

8. სახურავის ანაწყობების შეფასება

პროექტის მიხედვით, საპროექტო დასაშენებელი სართულისთვის შერჩეულია C კლასის სახურავის ანაწყობი და ბურული, რაც შეესაბამება 1505.1 ცხრილით განსაზღვრულ მოთხოვნებს მინიმალური ბურულისადმი კონსტრუქციის VB ტიპისათვის.

შენიშვნა 5: *1505.3 ქვეთავის თანახმად:*

C კლასის სახურავის ანაწყობები. C კლასის სახურავის ანაწყობებად ითვლება ის ანაწყობები, რომლებიც ტესტირების დროს უძლებს სუსტი ცეცხლის ზემოქმედებას.

1503.2 ქვეთავის თანახმად, ჰიდროიზოლაცია ისე უნდა მოეწყოს, რომ კედლისზედა ბურულების გადაბმების, ნესტგამტარი მასალების, პარაპეტის კედლების გადაკვეთის ადგილებისა და სახურავის ზედაპირზე არსებული სხვა ღიობების გავლით ნესტმა ვერ შეაღწიოს კედელსა და სახურავში, ხოლო 1503.2.1 ქვეთავის თანახმად, ჰიდროიზოლაცია უნდა მოთავსდეს კედლისა და სახურავის გადაკვეთის ადგილებში, წყალსადინარ არხებთან, სახურავის ქანობის ან მიმართულების შეცვლის ადგილებში, ასევე, სახურავის ღიობების გარშემო. ლითონის ჰიდროიზოლაცია უნდა იყოს კოროზიამედეგი და, არანაკლებ, 0,5 მმ სისქისა (No. 26 გალვანიზებული ფურცლისა). 1503.3 ქვეთავის შესაბამისად, კედელზედა ბურული. პარაპეტის კედლები სათანადოდ უნდა დაიფაროს არაწვადი, წყალგაუმტარი მასალებით, რომელთა სისქე პარაპეტის კედლების სისქეზე ნაკლები არ უნდა იყოს. **ზემოაღნიშნული მოთხოვნები გათვალისწინებულია პროექტში.**

შენიშვნა 6: *სახურავის მოწყობისას გათვალისწინებული იქნეს წესების მე-15 თავით განსაზღვრული სახურავების აგებასთან დაკავშირებული მოთხოვნები.*

9. ცეცხლმედეგობის ხარისხიანი მოთხოვნილი გამმიჯნავების და შემომზღუდავების შეფასება

706.1 ქვეთავის თანახმად, შენობის თითოეული ნაწილი, რომელიც ამ ქვეთავის დებულებების შესაბამისი ერთი ან მეტი ცეცხლმედეგი კედლითაა გამიჯნული, გამიჯნულ შენობად მიიჩნევა. ასეთი ცეცხლმედეგი კედლების განლაგება და მდებარეობა სრულ გამიჯვნას უნდა უზრუნველყოფდეს. თუ ცეცხლმედეგი კედელი ასევე მიჯნავს კედლის ცეცხლმედეგი ზღუდით გასამიჯნ დაკავებულობებს, თითოეული გამიჯვნისათვის არსებული ყველაზე შემზღუდავი მოთხოვნები გამოიყენება. დამკვეთის მიერ წარმოდგენილი შპს „ლილეოს“ 22.03.2018წ. შენობის ყველა ძირითადი ელემენტის კონსტრუქციული ანალიზის (იხ. დანართი N2) მონაცემების საფუძველზე, „გ-გ“ ღერძის გასწვრივ არსებული კედლის ცეცხლმედეგობის ხარისხი განისაზღვრა კედლის ფარგლებში მოქცეული სრუქტურული ელემენტებისთვის - კარკასისთვის (სვეტები და რიგელები) - სულ მცირე 3 სთ, კარკასის შემავსებლისთვის - უშუალოდ კედლებისთვის - სულ მცირე 4 სთ. „გ-გ“ ღერძის გასწვრივ კედელი, მათ შორის მის ფარგლებში მოქცეული ძირითადი სტრუქტურული ელემენტები, აგებულია არაწვადი მასალით (რკინაბეტონი, ბეტონის მონოლითური ბლოკი) 706.4 ქვეთავის მოთხოვნათა დაცვით, მისი ელემენტების ცეცხლმედეგობის ხარისხი (სულ მცირე 3 სთ კონსტრუქციული ანალიზის მიხედვით), შეესაბამება 706.4 ცხრილით მოთხოვნილ ცეცხლმედეგი კედლის ცეცხლმედეგობის ყველაზე შემზღუდავ ხარისხს (სქ, სწ-1 დაკავებულობებისთვის - 3 სთ, სწ-2 დაკავებულობისთვის - 2 სთ). პროექტის მიხედვით 706.5 ქვეთავის თანახმად, ცეცხლმედეგი კედლები უწყვეტი უნდა იყოს გარე კედლიდან გარე კედლამდე და გარე კედლების გარე ზედაპირებიდან გამოშვერილი უნდა იყოს, სულ მცირე, 45 სმ-ით. პროექტის მიხედვით, „გ-გ“ ღერძის გასწვრივ არსებული კედლის ხარისხი არ მთავრდება გამმიჯნავში და გრძელდება „ვ-ა“ ღერძებში ფასადის „დ-გ“ მონაკვეთში სულ მცირე 2 მ მანძილზე და შენარჩუნებულია გარე კედელზე და „ა-ვ“ ღერძებში ფასადზე „გ-დ“ მონაკვეთის სიგრძეზე და მის გარეთ „ე-ე“ ღერძის მიმართულებით სულ მცირე 2.2 მ სიგრძეზე - აღნიშნული უზრუნველყოფს 706.5 ქვეთავით მოთხოვნილ თარაზულ უწყვეტობას, ამასთანავე, პროექტის მიხედვით მთლიანი გამმიჯნავი კედლის და გარე კედლების ზემოაღნიშნულ მონაკვეთებში ცეცხლმედეგობის საპროექტო ხარისხია 3 სთ. 706.5.1 ქვეთავის მე-2 პუნქტის თანახმად, შენობებს ან სივრცეებს გადამკვეთი ცეცხლმედეგი კედლის ორივე მხარეს უნდა ჰქონდეს წარმოსახვითი საზღვარი ცეცხლმედეგ კედელთან, რომელიც გაგრძელდება ცეცხლმედეგი კედლის გარე მხარის მიღმა. გარე კედლებისა და ცეცხლმედეგი კედლის მიმართ წარმოსახვით ხაზს ისეთი მდებარეობა უნდა ჰქონდეს, რომ გარე კედლის ღიობების დამცავები აკმაყოფილებდეს 705.5 და 705.8 ქვეთავების მოთხოვნებს. ასეთი დამცავები არ სჭირდება გარე კედლებს, რომლებიც მთავრდება ცეცხლმედეგ კედლებთან და ქმნის 180 ან ამაზე მეტგრადუსიან კუთხეს. პროექტის მიხედვით, გარე კედლები მთავრდება ცეცხლმედეგ გამმიჯნავ კედელთან და ქმნის 180 გრადუსიან კუთხეს, შესაბამისად გარე კედლებზე არ არის საჭირო ღიობების დამცავები. 706.6 ქვეთავის თანახმად, ცეცხლმედეგი კედლები უნდა გრძელდებოდეს საძირკვლიდან დასრულების წერტილამდე, ორივე მომიჯნავე სახურავიდან, სულ მცირე, 76 სმ-ით ზემოთ. პროექტით გათვალისწინებულია „გ-გ“ ღერძის გასწვრივ ცეცხლმედეგი კედელი საძირკვლიდან დასრულების წერტილამდე, ორივე მომიჯნავე სახურავიდან, სულ მცირე, 80 სმ ზემოთ. 706.8 ქვეთავის თანახმად, ცეცხლმედეგი კედლის თითოეული ღიობი 716.5 ქვეთავის მიხედვით უნდა იყოს დაცული და 15 მ^2-ს არ უნდა აღემატებოდეს. ნებისმიერ იატაკის დონეზე არსებული ღიობების საერთო სიგანე კედლის სიგრძის 25%-ს არ უნდა აღემატებოდეს. „გ-გ“ ღერძის გასწვრივ ცეცხლმედეგ კედელში არსებული არცერთი ღიობის ფართობი არ აღემატება 15 მ^2-ს და ღიობების საერთო

სიგანე კედლის სიგრძის 25%-ს არ აღემატება იატაკის არცერთ დონეზე, ამასთან რეკონსტრუქციის ფარგლებში გათვალისწინებულია „გ-გ“ ღერძის გასწვრივ არსებული კედლის არსებულ ორ ღიობში, რომლების დატოვებაც დაგეგმილია რეკონსტრუქციის ფარგლებში, 716.5 ქვეთავის მიხედვით დაცული კარების მოწყობა, რომლების პროექტით გათვალისწინებული ცეცხლმედეგობის 3 სთ-იანი ხარისხი შეესაბამება 716.5 ცხრილით მოთხოვნილს, დანარჩენი ყველა არსებული ღიობი კი პროექტით უნდა ამოშენდეს 3 სთ ცეცხლმედეგობის ხარისხის მქონე კედლით.

შენიშვნა 7: *რეკონსტრუქციის პროცესში უზრუნველყოფილი იქნეს გამმიჯნავი ცეცხლმედეგი კედლისადმი 706-ე ქვეთავით განსაზღვრული ყველა მოთხოვნის შესრულება. გათვალისწინებული და დაცული იქნეს 706.9, 706.10, 706.11 ქვეთავების მოთხოვნები.*

706.9 გაყვანილობები. გაყვანილობები ცეცხლმედეგ კედელში 714-ე ქვეთავს უნდა შეესაბამებოდეს.
706.10 ნაკერები. ცეცხლმედეგ კედლებში ან მათ შორის არსებული ნაკერები 715-ე ქვეთავს უნდა შეესაბამებოდეს.
706.11 არხები და საჰაერო ღიობები. არხები და საჰაერო ღიობები ცეცხლმედეგ კედლებში არ უნდა გადიოდეს.
გამონაკლისი: არხები და საჰაერო ღიობები დასაშვებია, გადიოდეს ცეცხლმედეგ კედლებში, რომლებიც მიწის ნაკვეთის საზღვარზე არ მდებარეობს, თუ ასეთი გაყვანილობები 717-ე ქვეთავს შეესაბამება. არცერთი ღიობის ზომა და საერთო სიგანე 706.8 ქვეთავში მოცემულ შეზღუდვებს არ უნდა აღემატებოდეს.

შენიშვნა 8: *გამმიჯნავ ცეცხლმედეგ კედელში კვამლზე გააქტიურებადი კარები მოეწყოს 716.5.9.3 ქვეთავის შესაბამისად. ცეცხლმედეგი კარები უნდა აკმაყოფილებდეს 716.5 ქვეთავის მოთხოვნებს.*

კონსტრუქციული ანალიზის საფუძველზე და რეკონსტრუქციის ფარგლებში ჩასატარებელი სამუშაოების გათვალისწინებით, კედელი „გ-გ“ ღერძის გასწვრივ შეესაბამება 706-ე ქვეთავით ცეცხლმედეგი კედლებისადმი განსაზღვრულ მოთხოვნებს, შესაბამისად, აღნიშნული კედელი ექსპერტიზის მიზნებისთვის მიჩნეულია 706-ე ქვეთავის შესაბამის გამმიჯნავად.

„გ-გ“ და „ვ-ვ“ ღერძებს შორის გამიჯნულ შენობაში გათვალისწინებულია შერეული დაკავებულობა 508-ე ქვეთავის მიხედვით, კერძოდ, სწ-1 (ავტოშესაკეთებელი გარაჟი), სქ (საოფისე ფართობი) და სწ-2 (საწყობის ფართობი) დაკავებულობები არის გამიჯნული დაკავებულობები. 508.4.4 ქვეთავის თანახმად, ცალკეული დაკავებულობები მომიჯნავე დაკავებულობებისგან უნდა გაიმიჯნოს 508.4 ცხრილის შესაბამისად, რომლის თანახმადაც შენობებში, რომლებიც არ არის მთლიანად აღჭურვილი ავტოსაშხეფი სისტემით სწ-1 დაკავებულობა საჭიროა გაიმიჯნოს სწ-2 დაკავებულობისგან 2 სთ ცეცხლმედეგობის მქონე ცეცხლმედეგი ზღუდეებით და/ან თარაზული ანაწყობებით, სწ-1 დაკავებულობა არ საჭიროებს სქ დაკავებულობისგან გამიჯვნას, ხოლო სწ-2 დაკავებულობა უნდა გაიმიჯნოს სქ დაკავებულობისგან 2 სთ ცეცხლმედეგობის მქონე ცეცხლმედეგი ზღუდეებით და/ან თარაზული ანაწყობებით. პროექტში გათვალისწინებულია 2 სთ ცეცხლმედეგობის ხარისხის მქონე თარაზული ანაწყობი, საპროექტო დასაშენებელი სართულის გასასვლელი საშუალების გზა-კიბეები პირველი და მეორე სართულების დონეზე გამიჯნულია 2 სთ ცეცხლმედეგობის ხარისხის მქონე ცეცხლმედეგი ზღუდეებით, ხოლო უშუალოდ მარშების ქვეშ 2 სთ ცეცხლმედეგობის მქონე ანაწყობებით. საპროექტო დასაშენებელ სართულზე სქ და სწ-2 დაკავებულობები გამიჯნულია 2 სთ ცეცხლმედეგობის ხარისხის მქონე ცეცხლმედეგი ზღუდეებით.

707.6 ქვეთავის თანახმად, ცეცხლმედეგი ზღუდეების ღიობები 716-ე ქვეთავის შესაბამისად უნდა იყოს დაცული. ღიობების მაქსიმალური საერთო სიგანე კედლის სიგრძის 25% უნდა იყოს, ხოლო თითოეული ინდივიდუალური ღიობის მაქსიმალური ფართობი 15 მ^2-ს

არ უნდა აღემატებოდეს. გასასვლელთან მისადგომის გზა-კიბეებისა და პანდუსების, შიგა გასასვლელის გზა-კიბეებისა და პანდუსების და გასასვლელის გზა-დერეფნების შემომზღუდავებში დატანებული ღიობები 1022.3 და 1023.5 ქვეთავებსაც უნდა შეესაბამებოდეს. ამავე ქვეთავის გამონაკლისის მე-2 პუნქტის თანახმად, ღიობები 15 მ²-მდე ან საერთო სიგანე კედლის სიგრძის 25%-მდე არ უნდა შეიზღუდოს, თუ ღიობის დამცავი ცეცხლმედეგი კარია, რომელიც გასასვლელთან მისადგომის გზა-კიბეების, გასასვლელთან მისადგომის პანდუსების, შიგა გასასვლელის გზა-კიბეებისა და შიგა გასასვლელის პანდუსების შემომზღუდავებს ემსახურება. აღნიშნულიდან გამომდინარე, პროექტში გასასვლელთან მისადგომის გზა-კიბეების შემომზღუდავ ცეცხლმედეგ ზღუდეებში გათვალისწინებულ კარებზე არ ვრცელდება 707.6 ქვეთავით გათვალისწინებული გაბარიტების შეზღუდვები, ხოლო სწ-2 და სქ გამიჯნული დაკავებულობების გამმიჯნავ ცეცხლმედეგ ზღუდეებში გათვალისწინებული კარის ღიობები შეესაბამება 707.6 ქვეთავის მოთხოვნებს.

შენიშვნა 9: *სადაც მოთხოვნილია დაკავებულობების გამმიჯნავები, უნდა მოეწყოს 707-ე ქვეთავის შესაბამისად აგებული ცეცხლმედეგი ზღუდეები და 712-ე ქვეთავის შესაბამისად აგებული თარაზული ანაწყობი.*
შენიშვნა 10: *ცეცხლმედეგი კარები მოეწყოს 716.5 ქვეთავით განსაზღვრული მოთხოვნების დაცვით. დაკავებულობის გამმიჯნავ ცეცხლმედეგ ზღუდეებში კვამლზე გააქტიურებადი კარები მოეწყოს 716.5.9.3 ქვეთავის შესაბამისად.*

1702.1 ქვეთავის თანახმად, ლიფტის, მცირე ტვირთამწის (სამზარეულოს ლიფტის) და სხვა ლიფტის შახტების შემომზღუდავები 707-ე ქვეთავის მოთხოვნებს უნდა აკმაყოფილებდეს. 1702.1.1 ქვეთავის თანახმად, ლიფტის შახტის შემომზღუდავების ღიობები მე-7 თავის მოთხოვნების შესაბამისად უნდა იყოს დაცული. გამონაკლისი: 1703.2 ქვეთავის შესაბამისად ლიფტის კაბინის კარები და ლიფტის შახტის შემომზღუდავის კარები იატაკის დონეზე, რომელზეც ლიფტი ავარიისას მიდის, შეიძლება ღია დარჩეს საავარიო გამოძახების რეჟიმის I ფაზის განმავლობაში. 707.3.1 ქვეთავის თანახმად, შახტებისაგან შენობის ფართობების გამმიჯნავი ცეცხლმედეგი ზღუდეების ცეცხლმედეგობის ხარისხი 713.4 ქვეთავს უნდა შეესაბამებოდეს. 713.4 ქვეთავის თანახმად, შახტის შემომზღუდავების ცეცხლმედეგობის ხარისხი, არანაკლებ, 2 საათი უნდა იყოს, თუ ისინი აკავშირებს ოთხ ან მეტ სართულს და, არანაკლებ, 1 საათი, თუ ოთხზე ნაკლებ სართულს აკავშირებს. შახტით დაკავშირებული სართულების რაოდენობაში მიწის დონის ქვედა სართულებიც უნდა ჩაითვალოს, მაგრამ არა - ანტრესოლები. შახტის შემომზღუდავების ცეცხლმედეგობის ხარისხი მათ მიერ გადაკვეთილი იატაკის კონსტრუქციების ცეცხლმედეგობის ხარისხზე ნაკლები არ უნდა იყოს, თუმცა აუცილებელი არ არის, 2 საათს აღემატებოდეს. შახტის შემომზღუდავები 703.2.1 ქვეთავის მოთხოვნებს უნდა აკმაყოფილებდეს. 713.6 ქვეთავის შესაბამისად, თუ გარე კედლები შახტის აუცილებელი შემომზღუდავის ნაწილია, ისინი 705-ე ქვეთავის (გარე კედლების შესახებ) მოთხოვნებს უნდა აკმაყოფილებდეს. ამ შემთხვევაში ცეცხლმედეგობის ხარისხიანი შემომზღუდავთან დაკავშირებული მოთხოვნები არ გამოიყენება. პროექტის მიხედვით შენობა არის ორსართულიანი და სჭირდება 1 სთ-იანი ცეცხლმედეგობის ხარისხიანი შახტების შემომზღუდავები, თუმცა პროექტით გათვალისწინებულია 2 სთ ცეცხლმედეგობის ხარისხიანი ზღუდეები (გარდა იმ გარე კედლებისა, რომლებიც შახტის შემომზღუდავების ნაწილია), რომლებიც უზრუნველყოფს საპროექტო მეორე სართულის გამიჯვნას არსებული პირველი სართულის სწ-1 დაკავებულობისგან. მე-7 თავის მოთხოვნების შესაბამისად, ლიფტის შახტის ღიობი (პირველ სართულზე გარე კედლელზე ღიობის გარდა, ვინაიდან გარე კედელს პირველ

სართულზე ცეცხლმედეგობის ხარისხი არ მოეთხოვება) 716.5 ცხრილის მიხედვით დაცული უნდა იყოს 1.5 სთ ცეცხლმედეგობის ხარისხიანი კარებით, რაც გათვალისწინებულია პროექტში.

შენიშვნა 11: *შახტის შემომზღუდავები 703.2.1 ქვეთავის მოთხოვნებს უნდა აკმაყოფილებდეს. შახტის შემომზღუდავების კვამლზე გააქტიურებადი კარები მოეწყოს 716.5.9.3 ქვეთავის შესაბამისად.*
შენიშვნა 12: *შახტების შემომზღუდავები უნდა იყოს სიმეტრიული კონსტრუქციის ან, ასიმეტრიული კონსტრუქცის შემთხვევაში, შახტის შემომზღუდავები 703.2.1 ქვეთავის მოთხოვნებს უნდა აკმაყოფილებდეს.*

1018.1 ქვეთავის თანახმად, დერეფნების ცეცხლმედეგობის ხარისხი განისაზღვრება 1018.1 ცხრილის მიხედვით. დერეფნის კედლები, რომელთაც მოეთხოვება ცეცხლმედეგობის ხარისხი, უნდა აიგოს 708-ე ქვეთავის შესაბამისად, რომელიც ეხება ცეცხლმედეგ ტიხრებს. 1018.1 ცხრილის შესაბამისად, სქ და სწ დაკავებულობებში, 30-ზე მეტი დაკავებულობის დატვირთვისთვის, რომელსაც ემსახურება დერეფანი, დერეფნის ცეცხლმედეგობის ხარისხი (საშხეფი სისტემის გარეშე) უნდა იყოს 1 სთ. პროექტის მიხედვით დაკავებულობის დატვირთვა, რომელსაც ემსახურება დერეფანი, არის 30, შესაბამისად ცეცხლმედეგობის ხარისხი დერეფნისთვის არ რის მოთხოვნილი, თუმცა პროექტის მიხედვით დერეფნის კედლები არის დაკავებულობების გამმიჯნავი 2 სთ ცეცხლმედეგობის ხარისხის მქონე ზღუდეები.

ცეცხლმედეგობის ხარისხიანი მოთხოვნილი გამმიჯნავები და შემომზღუდავები აკმაყოფილებს მოთხოვნებს ახალი მშენებლობისათვის. ამასთან, პროექტით არ არის გათვალისწინებული სარეკონსტრუქციო შენობის არსებული შეუსაბამობის ხარისხის კიდევ უფრო მეტად გაზრდა.

10. ხანძრისაგან დაცვის სისტემების შეფასება

ხანძრისაგან დაცვის სისტემების შეფასება შესრულებულია წესების მე-9 თავის მიხედვით.

906.1 ქვეთავის 1-ელი პუნქტის თანახმად, ხელის ცეცხლმაქრები უნდა განთავსდეს თვ, სქ, სგ, სმ, დსშ, დწ, სვ, სც-1, სც-2, სც-4 და სწ ჯგუფების დაკავებულობებში, ხოლო მე-5 პუნქტის თანახმად - 906.1 ცხრილით მოთხოვნილ ადგილებში, მათ შორის თაროებიან სათავსში. პროექტით გათვალისწინებულია ხელის ცეცხლმაქრ(ებ)ის განთავსება სწ ჯგუფის თაროებიან სათავსში და სქ დაკავებულობის ფართობში.

შენიშვნა 13: *ხელის ცეცხმაქრების ზომა და განაწილება განისაზღვროს წესების 906.3 ქვეთავის მოთხოვნათა დაცვით შესაბამისი სპეციალისტის მიერ.*

907.2.15 ქვეთავის თანახმად, თაროებზე დაწყობილი მასალების შესანახად განკუთვნილ ზონებში უნდა დააყენონ ცეცხლის ავტომატური აღმომჩენი სისტემა. პროექტით გათვალისწინებულია ცეცხლის/კვამლის აღმომჩენი სისტემის მოწყობა დასაშენებელ საპროექტო სართულზე სწ-2 და სქ დაკავებულობებშიც და დერეფანში/ჰოლშიც.

ხანძრისაგან დაცვის სისტემები შეფასებულია უშუალოდ წესებში განსაზღვრული პირობების საფუძველზე, არქიტექტურული პროექტისთვის საჭირო მინიმალური დეტალიზაციის ფარგლებში, რის გათვალისწინებითაც პროექტში მითითებული ხანძრისაგან დაცვის სისტემები

საპროექტო დასაშენებელ სართულზე შესაბამისობაშია წესების მოთხოვნებთან ახალი მშენებლობისთვის. ამასთან, საპროექტო სამუშაოები არ იწვევს არსებული შენობის არსებული შეუსაბამობის ხარისხის კიდევ უფრო მეტად გაზრდას.

შენიშვნა 14: *ხანძრისაგან დაცვის სისტემების მოწყობა და შემოწმება, ასევე აუცილებელი დეტალური საპროექტო დოკუმენტაციის მომზადება უნდა მოხდეს შესაბამისი სპეციალისტების მიერ, სახანძრო უსაფრთხოების სტანდარტების დაცვით და საჭიროებისამებრ შესაბამის უფლებამოსილ ორგანოებთან შეთანხმებით. დამატებით მოწყობილი უნდა იქნეს ხანძრისაგან დაცვის შესაბამისი სისტემები, თუ ამას მოითხოვს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი ნორმები.*

11. წყალსადენი სისტემის ფიქსირებული მოწყობილობების შეფასება

1602.1 ქვეთავის თანახმად, წყალსადენი სისტემების ფიქსირებული მოწყობილობები დაკავებულობის ტიპს უნდა შეესაბამებოდეს, მათი რაოდენობა კი - 1602.1 ცხრილში მოცემულ მინიმალურ რაოდენობას. დაკავებულობის ტიპებს, რომლებიც 1602.1 ცხრილში არაა მოცემული, ინდივიდუალურად განსაზღვრავს მშენებლობის ნებართვის გამცემი/ზედამხედველი ორგანო. დაკავებულობის დატვირთვა წესების მიხედვით განისაზღვრება. დაკავებულობის კლასი მე-3 თავის შესაბამისად განისაზღვრება.

1602.1 ცხრილის შესაბამისად, სწ-2 დაკავებულობაში უნდა განთავსდეს წყალსადენი სისტემების ფიქსირებული შემდეგი მოწყობილობები: 1 უნიტაზი 100 დამკავებელზე, 1 ხელსაბანი 100 დამკავებელზე, 1 წყლის დასალევი შადრევანი 100 დამკავებელზე, 1 სამომსახურო ნიჟარა, სქ დაკავებულობაში უნდა განთავსდეს წყალსადენი სისტემების ფიქსირებული შემდეგი მოწყობილობები: 1 უნიტაზი 25 დამკავებელზე პირველი 150-თვის და 1 უნიტაზი 50 დამკავებელზე დანარჩენისთვის 50-ს ზემოთ, 1 ხელსაბანი 40 დამკავებელზე პირველი 150-თვის და 1 ხელსაბანი 850 დამკავებელზე დანარჩენისთვის 80-ს ზემოთ, 1 წყლის დასალევი შადრევანი 100 დამკავებელზე, 1 სამომსახურო ნიჟარა. 1602.2 ქვეთავის თანახმად, წყალსადენის ფიქსირებული მოწყობილობების აუცილებლობის შემთხვევაში, თითოეული სქესისათვის ცალ-ცალკე მოწყობილობები უნდა იყოს უზრუნველყოფილი, ხოლო ამავე ქვეთავის მე-2 გამონაკლისის შესაბამისად, ცალ-ცალკე მოწყობილობები აუცილებელი არ არის ნაგებობებში ან მფლობელობაში არსებულ სივრცეებში, რომელთა დაკავებულობის საერთო დატვირთვა, როგორც თანამშრომლების, ისე კლიენტების გათვალისწინებით, 15 ან 15-ზე ნაკლებია. 1109.2 ქვეთავის თანახმად, თითოეული ტუალეტის ოთახი და სააბაზანო ოთახი მისაწვდომი უნდა იყოს. თუ აუცილებელი არ არის, რომ იატაკის დონეს ჰქონდეს მისაწვდომი სვლაგეზი, მხოლოდ ტუალეტის ოთახები და სააბაზანო ოთახები უნდა მდებარეობდეს მისაწვდომ იატაკზე. ყოველ მისაწვდომ ტუალეტის ოთახსა და სააბაზანო ოთახში უნდა იყოს თითოეული ტიპის, სულ მცირე, ერთი მისაწვდომი ხელსაწყო, ელემენტი, მაკონტროლებელი ან გამანაწილებელი.

შენობაში არსებული წყალსადენი სისტემების ფიქსირებული მოწყობილობების რაოდენობა არ აკმაყოფილებს წესებით განსაზღვრულ რაოდენობას საპროექტო დასაშენებელი სართულის გათვალისწინებით. შესაბამისად, პროექტით გათვალისწინებულია სწ-2 დაკავებულობის საპროექტო საწყობის ფართობში, რომლის დაკავებულობის დატვირთვა არის 5, მოეწყოს 1 ტუალეტის ოთახი 1 უნიტაზით და 1 ხელსაბანით, 1 სამომსახურო ნიჟარა, 1 წყლის დისპენსერი, სქ დაკავებულობის საპროექტო საოფისე ფართობში - 1 ტუალეტის ოთახი კაცებისთვის 1 უნიტაზით და 1 ხელსაბანით, 1 ტუალეტის ოთახი ქალებისთვის 1 უნიტაზით და

1 ხელსაბანით, 1 სამომსახურებო ნიჟარა და 1 წყლის დისპენსერი. ყველა საპროექტო ტუალეტის ოთახი მისაწვდომია და მათი გეგმარება აკმაყოფილებს მისაწვდომობის მოთხოვნებს ICC / ANSI A117.1 სტანდარტის შესაბამისად.

შენიშვნა 15: მისაწვდომი ტუალეტები მოეწყოს შშმ პირთათვის მისაწვდომობის შესაბამისი სტანდარტების დაცვით.

საპროექტო დასაშენებელ სართულზე წყალსადენი სისტემების ფიქსირებული მოწყობილობები და მათი რაოდენობა შესაბამისობაშია ახალი მშენებლობისთვის განსაზღვრულ მოთხოვნებთან. ამასთან, პროექტის მიხედვით შენობაში არსებული სან.კვანძები არ განიცდის არავითარ ცვლილებას, ხოლო პროექტით გათვალისწინებული ახალი ტუალეტების მოწყობის შედეგად შენობაში არსებული წყალსადენი სისტემების ფიქსირებული მოწყობილობების შეუსაბამობის ხარისხის მცირდება.

12. შენობის განიავებისა და განათების შეფასება

შენობის განიავებისა და განათების შეფასება შესრულებულია წესების მე-12 თავის მიხედვით. 1203.1 ქვეთავის თანახმად, შენობებს უნდა ჰქონდეს 1203.4 ქვეთავის შესაბამისად მოწყობილი ბუნებრივი განიავება ან შესაბამისი მექანიკური განიავება. 1203.4 ქვეთავის შესაბამისად, გამოყენებული სივრცე ბუნებრივად უნდა ნიავდებოდეს ფანჯრების, კარების, სანიავებელი ღიობების ან სხვა ღიობების საშუალებით, რომლებიც შენობის გარეთ გადის. ასეთი ღიობების სამართავი მექანიზმი ადვილად მისადგომი უნდა იყოს, რომ შენობაში მყოფთ შეეძლოთ ღიობების ადვილად მართვა. 1203.4.1 ქვეთავის თანახმად, გარე გასაღები ღიობის მინიმალური ფართობი გაღებულ მდგომარეობაში უნდა იყოს გასანიავებელი იატაკის ფართობის 4%. 1205.1 ქვეთავის თანახმად, ადამიანის მიერ დაკავებულ ნებისმიერ სივრცეს უნდა ჰქონდეს ბუნებრივი განათება 1205.2 ქვეთავის შესაბამისი გარე შუქგამტარი ღიობების საშუალებით ან უნდა ჰქონდეს 1205.3 ქვეთავის შესაბამისი ხელოვნული განათება. 1205.3 ქვეთავის თანახმად, ხელოვნური განათება უნდა უზრუნველყოფდეს საშუალო განათებულობას, რაც ოთახში იატაკის დონიდან 75 სმ სიმაღლეზე უნდა შეადგენდეს 107 ლუქსს.

პროექტის მიხედვით საპროექტო დასაშენებელი სართულზე სწ-1 და სქ დაკავებულობებში ღიობების ფართობი გაღებულ მდგომარეობაში გასანიავებელი იატაკის ფართობის 4% ან მეტია, ტუალეტის ოთახებში, დერეფანში, ასევე სქ დაკავებულობაში, გათვალისწინებულია მექანიკური განიავება. სართულზე ბუნებრივ განათებასთან ერთად გათვალისწინებულია ხელოვნული განათება.

შენიშვნა 16: *ხელოვნური განათება უნდა უზრუნველყოფდეს საშუალო განათებულობას, რაც ოთახში იატაკის დონიდან 75 სმ სიმაღლეზე უნდა შეადგენდეს 107 ლუქსს.*

1704.1 ქვეთავის თანახმად, ლიფტების და მცირე ტვირთამწის (სამზარეულოს ლიფტის) შახტები, რომლებიც სამზე მეტ სართულს კვეთს, უზრუნველყოფილი უნდა იყოს საჰაეროებით, რომელთაგან ხანძრისას კვამლი და ცხელი აირები გარეთ გაიწოვება. პროექტის მიხედვით ლიფტის შახტა კვეთს მხოლოდ 2 სართულს და არ საჭიროებს საჰაერო ღიობებს.

საპროექტო დასაშენებელი სართული და საპროექტო ლიფტის შახტა აკმაყოფილებს განიავებასთან და განათებასთან დაკავშირებულ მოთხოვნებს ახალი მშენებლობისათვის. ამასთან,

პროექტით არ არის გათვალისწინებული სარეკონსტრუქციო შენობის ღიობების ცვლილება და განიავების და განათების არსებული შეუსაბამობის ხარისხის კიდევ უფრო მეტად გაზრდა.

13. კიბეების შეფასება

კიბეების შეფასება შესრულებულია წესების მე-10 თავის მიხედვით.

1009.10 ქვეთავის თანახმად, იატაკის დონეებსა ან ბაქნებს შორის კიბის მარშის შვეული ამაღლება არ უნდა აღემატებოდეს 3.7 მ-ს. პროექტის მიხედვით დასაშენებელი სართულის სიმაღლეა 4.40 მ და ორივე საპროექტო კიბეზე გათვალისწინებულია შუალედური ბაქნები ისე, რომ **საპროექტო თითოეული მარშის ამაღლება ნაკლებია 3.7 მ-ზე.**

1009.7.2 ქვეთავის მიხედვით, კიბის შემაღლების/შუბლის სიმაღლე უნდა იყოს, არაუმეტეს, 18 სმ და, სულ მცირე, 10 სმ. შემაღლების/შუბლის სიმაღლე უნდა გაიზომოს შვეულად მომიჯნავე საფეხურების ნაშვერებს შორის. მართკუთხა საფეხურის თარაზული ზედაპირის (საბიჯელის) სიღრმე უნდა იყოს, სულ მცირე, 28 სმ, როდესაც იზომება თარაზულად მომიჯნავე საფეხურების ყველაზე გამოშვერილი ნაწილების შვეულ სიბრტყეებსა და საფეხურის ნაშვერების მარჯვენა კუთხეს შორის. მოხვევის საფეხურების თარაზული ზედაპირის (საბიჯელის) მინიმალური სიღრმე კიბის თავისუფალი სიგანის საზღვრებში უნდა იყოს მოხვევის საფეხურების სავალის ხაზთან გადაკვეთის ადგილებში 25 სმ და საფეხურების ნაშვერების შვეულ სიბრტყეებს შორის უმეტესი ნაწილისთვის 28 სმ. **საპროექტო კიბის საფეხურები აკმაყოფილებს ზემოაღნიშნული მოთხოვნებს.**

1009.8 ქვეთავის მიხედვით, თითოეული გზა-კიბის თავსა და ბოლოში უნდა იყოს იატაკი ან ბაქანი. ბაქნის სიგანე არ უნდა იყოს გზა-კიბის სიგანეზე ნაკლები. ბაქნის სიგანე არ უნდა იყოს იმ გზა-კიბის სიგანეზე ნაკლები, რომელსაც ის ემსახურება. თითოეული ბაქანი მინიმალური სიგანის უნდა იყოს. ის იზომება გზა-კიბის სიგანის ტოლი სავალი მიმართულების პერპენდიკულარულად. სადაც გზა-კიბე სწორხაზოვნად მიემართება, სიღრმე არ უნდა აღემატებოდეს 1,2 მ-ს. ბაქნისკენ კარების გაღებისას ბაქნის სიგანე არ უნდა შემცირდეს აუცილებელი სიგანის ნახევარზე მეტად. მთლიანად გაღებულ პოზიციაში კარი ბაქანზე არ უნდა იჭრებოდეს 18 სმ-ზე მეტად. სადაც გზა-კიბის ბაქანზე აუცილებლად უნდა იყოს ეტლებისათვის საჭირო სივრცეები, 1007.6.1 ქვეთავის შესაბამისად, ეტლისათვის საჭირო სივრცე არ უნდა შედიოდეს ბაქნის აუცილებელი სიგანის საზღვრებში და კარები არ უნდა იღებოდეს ეტლისათვის საჭირო სივრცეში. **საპროექტო კიბის ბაქნები აკმაყოფილებს ზემოაღნიშნული მოთხოვნებს.**

შენიშვნა 17: *სახელურები მოეწყოს 1012-ე ქვეთავის მოთხოვნათა დაცვით.*

14. ლიფტების და გადამზიდი სისტემების შეფასება

1702.1 ქვეთავის შესაბამისად, ლიფტის, მცირე ტვირთამწის (სამზარეულოს ლიფტის) და სხვა ლიფტის შახტების შემომზღუდავები 707-ე ქვეთავის მოთხოვნებს უნდა აკმაყოფილებდეს. ლიფტის შახტის შემომზღუდავების შეფასება მოცემულია საექსპერტო დასკვნის მე-9 პუნქტში.

1702.1.1 ქვეთავის შესაბამისად, ლიფტის შახტის შემომზღუდავების ღიობები მე-7 თავის მოთხოვნების შესაბამისად უნდა იყოს დაცული. ლიფტის შახტის შემომზღუდავების ღიობების შეფასება მოცემულია საექსპერტო დასკვნის მე-9 პუნქტში.

1702.4 ქვეთავის შესაბამისად, მიწის დონიდან ზემოთ ან ქვემოთ ოთხზე მეტსართულიან შენობებში არსებული ლიფტებიდან, სულ მცირე, ერთი ისეთი უნდა იყოს, რომ საგანგებო ვითარებისას სახანძრო-სამაშველო დანაყოფს ყველა იატაკზე მოხვედრა შეეძლოს. ლიფტის კაბინაში შესაძლებელი უნდა იყოს 60 სმ × 2,15 მ ზომის, არანაკლებ, 13 სმ რადიუსის კუთხეებიანი საკაცის განთავსება გახსნილ, თარაზულ მდგომარეობაში. ასეთ კარადაზე დატანილი უნდა იყოს სასწრაფო სამედიცინო დახმარების საერთაშორისო სიმბოლო (სიცოცხლის ვარსკვლავი). სიმბოლოს სიმაღლე 75 მმ-ზე ნაკლები არ უნდა იყოს და დატანილი უნდა იყოს შიგნიდან ლიფტის შახტის შემომზღუდავის კარის ჩარჩოს ორივე მხარეს. პროექტით გათვალისწინებული გამიჯნული შენობა არის მიწის დონიდან ორ სართულიანი, შესაბამისად 1702.4 ქვეთავით გათვალისწინებული მოთხოვნები მასზე არ ვრცელდება.

1702.7 ქვეთავის შესაბამისად, ლიფტები არ უნდა განთავსდეს ისეთ შემომზღუდავში, რომელშიც გზა-კიბეებია. აღნიშნული მოთხოვნა პროექტით დაცულია.

ლიფტის შახტის საჰაერო ღიობებისადმი მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება მოცემულია საექსპერტო დასკვნის მე-12 პუნქტში.

პროექტით გათვალისწინებულ ლიფტს არ გააჩნია სამანქანო ოთახი, შესაბამისად 1706-ე ქვეთავით გათვალისწინებული მოთხოვნები სამანქანო განყოფილებისადმი მასზე არ ვრცელდება.

შენიშვნა 18: დაცული იქნეს 1704.4 ქვეთავის მოთხოვნები.
1704.4 წყალსადენი და მექანიკური სისტემები. ლიფტის შახტის შემომზღუდავში წყალსადენი და მექანიკური სისტემები არ უნდა მოთავსდეს.

საპროექტო ლიფტი აკმაყოფილებს ლიფტის მოწყობასთან დაკავშირებულ მოთხოვნებს ახალი მშენებლობისათვის. ამასთან, საპროექტო სამუშაოები არ იწვევს არსებული შენობის არსებული შეუსაბამობის ხარისხის კიდევ უფრო მეტად გაზრდას.

დასკვნა:

ქ. თბილისში, დავით აღმაშენებლის ხეივანი N122-ში, მიწის ნაკვეთზე საკადასტრო კოდით N01.72.14.014.614, არსებული შენობის - ავტოსალონის რეკონსტრუქციის სართულის დაშენებით არქიტექტურულ პროექტს ეძლევა დადებითი დასკვნა „ტექნიკური რეგლამენტის – შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის №41 დადგენილებით დამტკიცებულ რეგლამენტთან შესაბამისობის თაობაზე.

დამკვეთი ვალდებულია უზრუნველყოს წინამდებარე ექსპერტიზაში განსაზღვრული შენიშვნებით გათვალისწინებული მოთხოვნებისა და მითითებების შესრულება. ექსპერტი არ არის პასუხისმგებელი შენიშვნებით გათვალისწინებული მოთხოვნებისა და მითითებების შეუსრულებლობით გამოწვეულ შედეგებზე.

ექსპერტი მაია ჩხაიძე

ექსპერტი მარია მარსაგიშვილი

GLOBAL MOTORS GEORGIA-GMG

განმარტებითი წერილი

ქ. თბილისში დავით აღმაშენებლის ხეივანი №122-ში მდებარე ლადას ცენტრის (ავტოსალონი), არსებულ შენობის მეორე სართულზე იგეგმება (პირველ სართულზე მოწყობილია პროფილაქტიკა) სასაწყობე მეურნეობის მოწყობა, რისთვისაც რეკონსტრუქციის და არქიტექტურული პროექტის უსაფრთხოების ექსპერტიზის მიზნით განვმარტავ შემდეგს:

სასაწყობე ფართში განლაგებული იქნება ავტოსათადარიგო ნაწილები, კერძოდ:

. ავტომობილის ძარის ნაწილები - თუნუქის მასალა
. სავალი ნაწილები - საჭის მექანიზმები, გადაცემათა კოლოფები, კარდნები, რედუქტორები,
. საქარე და გვერდითი მინები
. სპეციალური ლითონის ქანჩ-გასაღებები
. ლითონის კარადები
. ლითონის თაროები
. ავტომობილის სარკეები
. ძრავის ნაწილები, გალოვკები, ბლოკები

რაც შეეხება ამჟამად მოქმედ პროფილაქტიკას, რომელიც ფუნქციონერებს 2013 წლიდან, (ვემსახურებით სახელმწიფო და სხვადასხვა კერძო ორგანიზაციებს), სადაც საფრთხის შემცველი მაქსიმალური დასაშვები რაოდენობა შეესაბამება სასაწყობე ჯგუფის 307.1(1) ცხრილში მოცემულ ოდენობებს.

შპს „გლობალ მოტორს ჯორჯია-ჯიემჯი“
დირექტორი
გოჩა როსტიაშვილი

0131 თბილისი , საქართველო, დავით აღმაშენებლის ხეივანი №122,
ტელ: (995 322) 543 543; (995 592) 527 527 E-mail: gmgladavazi@mail.ru

შპს ლილეო

სამშენებლო და საექსპერტო კვლევითი სამუშაოების ჯგუფი



სამუშაო გამოცდილება

ექსპერტიზის ჩატარება დაევალა ექსპერტს - **ალექსანდრე ყურაშვილს,** რომელსაც აქვს:

-უმაღლესი ტექნიკური განათლება კვალიფიკაციით - სამოქალაქო სამრეწველო მშენებლობა, ხარისხი - მაგისტრი
- ამ დარგში მუშაობის გამოცდილება - 10 წელი.
-2007-2010 წ. სახელმწიფო უზრუნველყოფის სამხასური (ავლაბრის ადმინისტრაციული კომპექსის მშენებლობა) თანამდებობა: ქონების განვითარების სამსახურის უფროსი სპეციალისტი
-2011-2018 წ. შპს „ლილეო“- საპროექტო-სამშენებლო ორგანიზაცია, სპეციალობა: ინჟინერ-ექსპერტი

ცრუ ჩვენების, ყალბი დასკვნის, საექსპერტო კვლევის ობიექტის დაუცველობისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის შესახებ გაფრთხილებული ვარ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 370-ე მუხლის შესაბამისად.

გამოყენებული ლიტერატურა

1. მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილება

2. სამშენებლო უსაფრთხოების ნორმები და შენობებისა და ნაგებობების მშენებლობა (СН И П 1-04-03-85)

3. შენობა-ნაგებობებზე სამშენებლო ძირითადი კონსტრუქციების უსაფრთხოების ნორმები და წარმოების წესები (СН И П III -4-80)

4. შენობა-ნაგებობებზე ექსპერტიზის წარმოების წესები და მეთოდები

5. საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის N41-ე დადგენილება ტექნიკური რეგლამენტის ,,შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების'' დამტკიცების თაობაზე

ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №122-ში შპს “გლობალ მოტორს ჯორჯია –ჯი ემ ჯი” კუთვნილ მიწის ნაკვეთზე არსებული ავტოსალონი

(საკადასტრო კოდი №01.72.14.014.614)

საექსპერტო დავალება;

1. არსებული შენობის კონსტრუქციების კვლევა და შესაბამისი დასკვნის მომზადება შენობის მდგომარეობაზე, საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით ჩატასარებელ სამუშაოებთან მიმართებაში;

2. შენობის ყველა ძირითადი ელემენტების კონსტრუქციული ანალიზის მომზადება

თბილისი

21/03/2018 წელი

შენობის კონსტრუქციული მდგომარეობის დასკვნა და ჩასატარებელი სამუშაოების შესაძლებლობა

ჩვენი ჯგუფის მიერ ამაწლის 19 მარტს განხორციელებულ იქნა საექსპერტო კვლევა შემდეგი დავალებით: არსებული შენობის ძირითადი კონსტრუქციების მდგომარეობის ექსპერტიზა და შენობის კონსტრუქციული შემადგენელი ელემენტების ანალიზი.

საპროექტო-სარეკონსტრუქციო შენობა წარმოადგენს ავტოსალონს. შენობის ერთი ნაწილი ორ სართულიანია, ხოლო მეორე ნაწილი ერთ სართულიანი. სარემონტო ერთ სართულიან შენობის ფართზე დამატებით გათვალისწინებულია ერთი სართულის დაშენება. კვლევის შედეგად აღნიშნული შენობა განეკუთვნება მონოლითურ რკინა-ბეტონის კარკასულ ნაგებობას. შენობის საძირკველი რკინა-ბეტონის წერტილოვან-ლენტური ტიპისა, რომელიც შევსებულია ბალსტის ფენით და დახურულია მონოლითური რკინა-ბეტონის ფილით. კოლონები მონოლითური რკინა-ბეტონისაა ზომებით 400X400 მმ. შემკრავი რიგელები ლითონის მილკვადრატებისაგან შედგენილი ფერმით არის განხორციელებული, რომელის გადახურვაც მოწყობილია სედნვიჩპანელებით. კარკასი ამოშენებულია სტანდარტული ტიპის 200X200X400 მმ-ს ბლოკების წყობით, რომელიც დამუშავებულია მხოლოდ ცემენტის ხსნარით.

არსებული მდგომარეობის შესწავლის საფუძველზე აღნიშნული ერთ სართულიანი შენობა ხასიათდება კონსტრუქციული მზიდუნარიანი ელემენტების მიხედვით მდგრად და საიმედო ნაგებობად, მოპოვებული მასალებისა და ჩვენს მიერ განხორციელებული კვლევის საფუველზე. ადგილზე შესწავლილ იქნა შენობის საძირკვლები და ყველა ძირითადი კონსტრუქციული საყრდენი ელემენტების მდგომარეობა. კვლევის მიხედვით არ იქნა აღმოჩენილი არავითარი სახის დაზიანებების კვალი, რღვევის ნიშნები და ჯდენითი პროცესების კვალი. შენობა როგორც ვიზუალური ასევე ტექნიკური კუთხით აკმაყოფილებს დღეისათვის მოქმედ ნორმატივებს საექსპლუატაციო პერიოდის ფარგლებში.

საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით გათვალისწინებულია აღნიშნულ შენობის უკანა ნაწილზე დაშენება, რომელიც კონსტრუქციული ანალიზის მიხედვით უნდა განხორციელდეს მსუბუქი თვითმზიდი კონსტრუქციების გამოყენებით, კერძოდ დაშენების კარკასი უნდა მოეწყოს ლითონ კონსტრუქციებში, ხოლო სართულშუა გადახურვაში გამოყენებულ იქნას ლითონის ან ხის კოჭები, რომელიც გაიპოლება ლითონის ფურცლებით ან ხის ფანერებით, ხოლო სახურავის გადახურვა შესაძლებელია განხორციელდეს იგივე სედვიჩპანელებით. კონსტრუქციული ანალიზის საფუძველზე დაშენება ხორციელდება არსებული რკინა-ბეტონის სვეტებზე, რის გამოც უნდა მოხდეს არსებული ლითონის ფერმისა და გადახურვის დემონტაჟი, ვინაიდან მოეწყოს ახალი ლითონის შემკრავი კოჭები (შველერები და ორტესებრი კოჭებით) და დაგეგმარდეს დაშენების ძირითადი კარკასი. საანგარიშო სქემისა და წონის შესაბამისად შენობა საკმარისად ამტანუნარიანია მოცემულ კონსტრუქციულ პროექტში და გათვლებში.

აღნიშნული სამუშაოები მოცემული საანგარიშო სქემის ფარგლებში არავითარ სახის ზეგავლენას არ მოახდენს არსებული შენობის მიმართ, ვინაიდან კონსტრუქციული მახასიათებლების გათვალისწინებით დაშენების კონსტრუქციული სქემა გაანგარიშებულია შენობის კონსტრუქციულ მდგომარეობასა და სეისმომედეგობის პირბებზე, რაც კონსტრუქციულ ნაწილში დეტალურად არის გათვლილი.

შენობის ყველა ძირითადი ელემენტების კონსტრუქციული ანალიზი

ჩვენს მიერ ჩატარებული კვლევის მიხედვით შენობის ძირითადი პარამეტრები და მზიდი საყრდენი ელემენტები აკმაყოფილებს დადგენილ სტანდარტებსა და მოთხოვნებს, რომ განხორციელდეს საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით დაშენება.

კვლევის შედეგად შევაფასეთ არსებული შენობა-ნაგებობის ყველა ძირითადი კონსტრუქციული ელემენტების პარამეტრები, საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის №41-ე დადგენილების 721 ქვეთავის მიხედვით.

საძირკველი - შენობის საძირკველი, როგორც ზემოთ ავღნიშნეთ არის რკინა-ბეტონის წერტილოვანი ტიპის (გაბარიტული ზომები: 1400X1400X600 მმ), რომლის ჩაღრმავების დონე შეადგენს მიწის ნიშნულის დონიდან -1.30 მეტრს. წერტილოვანი საძირკვლიდან

ამომავალი სვეტები შეკრულია რკინა-ბეტონის რანდკოჭებით +0.00 ნიშნულის დონემდე (0.50 მეტრის სისქით და 0.70 მეტრის სიმაღლით), რის შემდგომ მოჭიმულია 0.20 მეტრის სისქის მონოლითური რკინა-ბეტონის ფილით. ბეტონის მარკა შეადგენს 300 მარკას B-25 (ცხრილი 721.1 (1) 6. გაძლიერებული ფოლადი გაძლიერებულ ბეტონის კოჭებში. პუნქტი 6-1.2 კაჟბადიანი შემვსები ბეტონი)

კარკასი (რკინა-ბეტონის სვეტები) – გაბარიტული ზომებით 400X400, ბეტონის მარკა შეადგენს 300 მარკას B-25 – ქვეთავი 721 –მოცემული ცეცხლმედეგობა, 721.1.(1) სტრუქტურული ნაწილების მინიმალური დამცავი დროის პერიოდების საფუძველზე სხვადასხვა არაწვადი საიზოლაციო მასალებისათვის, 5. გამაძლიერებელი ფოლადი გაძლიერებული ბეტონის სვეტებში, კოჭებში, მთავარ კოჭებსა და წამწეებში. (გარე დამცავი შრე 5 სმ. 721 ცხრილის მიხედვით უნდა იყოს 3.8 სმ.)

კედლები (მათ შორის გ-გ ღერძზე, ავტო სალონსა და პროფილაქტიკას შორის არსებული კედელი) ანუ კარკასის შემავსებელი ელემენტები არის სტანდარტული ტიპის სამშენებლო მასიური მონოლითური ბეტონის ბლოკის – 721.1.(2) ცეცხლმედეგობის ხარისხები სხვადასხვა ტიხრებისა და კედლებისათვის, 3. ბეტონის წყობის ერთეული (ბლოკი) 3-1.1^{3} აფუებული წიდა ან პემზა (გაბარიტული ზომებით 200X200X400 სმ).

ა-გ ღერძებს შორის სვეტების თავზე შემკრავი რკინა-ბეტონის რიგელები: გაბარიტული ზომებით 400X400, ბეტონის მარკა შეადგენს 300 მარკას B-25 – ქვეთავი 721 –მოცემული ცეცხლმედეგობა, 721.1.(1) სტრუქტურული ნაწილების მინიმალური დამცავი დროის პერიოდების საფუძველზე სხვადასხვა არაწვადი საიზოლაციო მასალებისათვის, 5. გამაძლიერებელი ფოლადი გაძლიერებული ბეტონის სვეტებში, კოჭებში, მთავარ კოჭებსა და წამწეებში. (ბეტონის გარე დამცავი შრე არის 4.5 სმ)

გ-ვ ღერძებს შორის სვეტების თავზე შემკრავი რიგელები: ლითონის მილკვადრატებისგან შემდგარი ერთქანობიანი სტატიკური ტიპის ფერმა (მილკვადრატი კვეთით 150X150X4.5 მმ)

გადახურვა: სენვიჩპანელი

დასკვნა

ჩატარებული კვლევის შედეგად, სადაც კვლევის საგანს წარმოადგენდა არსებული შენობის კონსტრუქციების მდგომარეობის შესწავლას და საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით წარმოდგენილი სამუშაოების მიხედვით კონსტრუქციულ ანალიზსა და ზეგავლენის განსაზღვრას ჩატარებული კვლევის შედეგად აკმაყოფილებს დადგენილ ნორმებს. არსებული შენობის მზიდი კონსტრუქციული ელემენტების ანალიზის შედეგად მოცემული პარამეტრები შეესაბამება ქვეთავი 721-ში – მოცემულ პარამეტრებს, რის საფუძველზეც საპროექტო დაშენებას ცალსახად ენიჭება დადებითი შეფასება.

კონსტრუქტორ-ექსპერტი: **ა. ყურაშვილი**

/22. 05. 2018 წელი/

აქტი: **ა60.01173544**

თარიღი: **20.12.2017**

ც ნ ო ბ ა

ეძლევა მარია მარსაგიშვილს (პირადი № 01030017363) მასზედ, რომ იგი 2009 წლის 05 აგვისტოდან 2009 წლის 05 ნოემბრამდე მუშაობდა ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის შტატგარეშე მოსამსახურედ. 2009 წლის 05 ნოემბრიდან 2010 წლის 01 ივლისამდე მუშაობდა ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის ურბანული დაგეგმარების დეპარტამენტის მიწის ნაკვეთის გამოყენების მომზადების განყოფილებაში სპეციალისტის თანამდებობაზე, ხოლო 2010 წლის 01 ივლისიდან 2017 წლის 25 სექტემბრამდე მუშაობდა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის ძველი თბილისის სანებართვო განყოფილების სპეციალისტის თანამდებობაზე.

სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
არქიტექტურის სამსახური -
საზოგადოებასთან ურთიერთობისა და
ადამიანური რესურსების მართვის
განყოფილება - განყოფილების უფროსი

ლევან გოროზია

GEORGIAN TECHNICAL UNIVERSITY

DIPLOMA

STU № 000353

This is to certify that Mr./Ms. Maria Marsagishvili was enrolled in 2000 and in 2005 completed Georgian Technical University the full study programme of the Faculty of Architecture with a major in Architecture

By the decision of the Qualification Commission 12.12. 2005 (Month, Day, Year) was awarded an Academic Degree of Certified Specialist and the qualification of Architect

Seal

Rector R. Khurodze

Dean

City Tbilisi

Registration No 00428

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

დიპლომი

STU № 000353

გვლევა მარია მარსაგიშვილს

მასზედ, რომ იგი 2000 წელს ჩაირიცხა და 2005 წელს დაამთავრა

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის არქიტექტურის

ფაკულტეტის

დიპლომირებული სპეციალისტის სრული კურსი არქიტექტურის

სპეციალობით

სახელმწიფო კომისიის 2005 12 12 (წელი, რიცხვი, თვე) გადაწყვეტილებით

მარია მარსაგიშვილს მიენიჭა

დიპლომირებული სპეციალისტის აკადემიური ხარისხი და

არქიტექტორის კვალიფიკაცია

ბ.

რექტორი

დეკანი

ქ. თბილისი

სარეგისტრაციო № 00428

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

GEORGIAN TECHNICAL UNIVERSITY

დიპლომი

DIPLOMA

[illegible] N H - 0232

აქტი: **ა60.01173543**

თარიღი: **20.12.2017**

ც ნ ო ბ ა

ეძლევა მაია ჩხაიძეს (პირადი №01026012574) მასზედ, რომ იგი 2009 წლის 05 აგვისტოდან 2009 წლის 31 დეკემბრამდე მუშაობდა ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის შტატგარეშე მოსამსახურედ. 2009 წლის 31 დეკემბრიდან 2010 წლის 02 დეკემბრამდე მუშაობდა ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის სანებართვო დეპარტამენტის მარცხენა სანაპიროს სანებართვო განყოფილებაში სპეციალისტის თანამდებობაზე, ხოლო 2010 წლის 02 დეკემბრიდან 2017 წლის 23 ოქტომბრამდე მუშაობდა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის ძველი თბილისის სანებართვო განყოფილების სპეციალისტის თანამდებობაზე.

სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
არქიტექტურის სამსახური -
საზოგადოებასთან ურთიერთობისა და
ადამიანური რესურსების მართვის
განყოფილება - განყოფილების უფროსი

ლევან გოროზია

GEORGIA

LEGAL ENTITY OF PUBLIC LAW
TECHNICAL UNIVERSITY OF GEORGIA

BACHELOR'S

DIPLOMA

BA № 000439

This is to certify that by the decision September 20, 2007.

of the Architecture, Urban Planning and Design faculty

of the Technical University of Georgia

Ms. Maia Chkhaidze

born on October 19, 1986.

was awarded an academic Degree of Bachelor with Major in

Architecture

seal

Dean of the faculty

Rector

Tbilisi April 24, 2008. Registration No 00397

საქართველო

საჯარო სამართლის იურიდიული პირი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

ბაკალავრის

დიპლომი

BA № 000439

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის

არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის

ფაკულტეტის 2007 წლის 20. 9 გადაწყვეტილებით,

მაია ჩხაიძეს

დაბადებულს 1986 წლის 19 ოქტომბერს

მიენიჭა არქიტექტურის

ბაკალავრის აკადემიური ხარისხი.

ბ. ა.

ფაკულტეტის დეკანი

რექტორი

თბილისი 24/04/2008 რეგისტრაციო # 00397

GEORGIA

GEORGIAN TECHNICAL UNIVERSITY

MASTER'S

DIPLOMA

MD № 001022

By the decision N 10 June 27, 2012.

of the faculty of

Architecture, Urban Planning and Design

Ms. Maia Chkhaidze

was awarded the Degree of Master of

Architecture

რეგისტრაცია Registration № 01020

თბილისი Tbilisi 3 რიცხვი/day 6 თვე/month 2013 წელი/year

საქართველო

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

მაგისტრის

დიპლომი

MD № 001022

არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის

ფაკულტეტის 2012 წლის 27. 6 № 10

გადაწყვეტილებით მაია ჩხაიძეს

მიენიჭა არქიტექტურის

მაგისტრის აკადემიური ხარისხი

დეკანი / გოჩა მიქიაშვილი

Dean / Gocha Mikiashvili

რექტორი / არჩილ ფრანგიშვილი /

Rector / Archil Prangishvili /

Seal